



საქართველო

საქართველოს
შრომისა და
კულტურის

1915



ახალი წელი № VIII

გორაკის

ნაკადული

საგზაწილად დასრულებული
საქმიანობის
შედეგად.

წელიწადი 80-XI.

№ 8

აგვისტო, 1915 წ.



მოწყალები სამართლები

თბილისი

საგზაწილად დასრულებული
საქმიანობის
შედეგად.

შინაარსი

I—მოწყალე სამართელი,—სურათი.....	1
II—არწივი,—ლექსი, დ. კლიაზიშვილისა.....	3
III—პატარა ქეთოს დღიურიდან,—დ. ქვამაძისა.....	6
IV—ფრთოსანის სიმღერა,—ლექსი გ. ღვინაძისა.....	17
V—სალამური,—(თქმულება) პოემა ი. მჭედლაშვილისა... ..	20
VI—ღვთის წყალობა მაქვს, რომ ახლა-კი სხვა დრო მო- დის,—ტყუბისა.....	27
VII—რკინის გზის დარაჯი,—თარგმ. კლ. ანტონოვსკისა....	34
VIII—მყვინთავეები,—მოთხრობა კლევფელენდისა, თარგმა- ნი მაგატასა.....	41
IX—ვიქტორ ჰიუგო,—მარ. ხაჩხუაძისა.....	51
X—ბრძოლა ადამიანისა ბუნებასთან,—ივ. როსტომა- შვილისა.....	59
XI—გასართობი,—შარაღა და აღსნა.....	63



ქართული
ლიბრთეკა



ვაჟა-ფშაველა მეუღლით.

არწივი

(უძვენი ვაჟა-ფშაველას ხსენებას)



არწივმა ფრთები გაშალა
შეპკრა მსუბუქად კამარს,
ასცილდა არე—მიდამოს,
დარჩა მზის სხივთა ამირა.





ნახა სამოთხე... ყვავილნი,
 ვარდი, ია და სოსანი;
 ზურმუხტის ბუჩქში მჯდომარე,
 ხმა-მონარნარე მგოსანი...

ნახა კლდეებზე მჩქეფარე
 წყარონი უკვდავებისა...
 მათ დაეწაფა... იგემა
 სიტკბო ღვთიური შვებისა.

დაჰკოცნა ტურფა მიდამო,
 დაჰკოცნა გულის-გზნებითა,
 და კვლავ ეწვია ძირ მხარეს
 ძველი ნაფალი გზებითა.

თავს ევლებოდა სამშობლოს,
 მის ტურფა არე-მარესა;
 უმზერდა... იქ ვერ ჰპოვებდა
 ზეციურ ტურფა მხარესა.

ვარდსა, იას, და ენძელას
 სიცხისგან აღგას პირია;
 ბულბულთა ნაცვლად ყვანჩალებს
 კულად დაელოთ პირია.

აღმასის წყაროს მაგივრად,
 მოჰქროდნენ მღვრიე რუები;
 ბნელ კაკლის ხეზე მჯდომარე,
 მწარედ ჰკიოდნენ ბუები.

არწივმა ფრთა ფრთას შემოჰკრა,—
 სევდით აევსო გულია;
 ცრემლები გადმოაფრქვია,
 გაიორკეცა წყლულია.



დაპტრინავს, ჰყივის საქვეყნოდ, —
 ზეცას უსწორებს თვალმბსა:
 —ზეცაო, შენი შევენება
 მოჰმადლე ამ ჩვენ მხარესა!..


ჰყივის... დაპტრინავს... საცოდავს
 ძალა ელევა ფრთაშია;
 კლდეზე ეშვება ნელ-ნელა,
 აზრიც ერევა თავშია.

ჰკვნესის... გასცქერის თვის არეს,
 მწარედ უღელავს სულია;
 აღორძინება თვის მხარის
 სიკვდილის დროსაც, სწყურია.

მაგრამ... მშვიდობით... გამოტყვრა
 სიკვდილის ძალა მწარია;
 არწივმა თვალი დახუჭა,
 არწივმა დღენი დალია.

დ. ელიოზიშვილი





პატარა ქეთოს დღიურიდან

17 ივნისი.



დეს გიგლა ცოტა უკეთ არის. დედამ სადილის შემდეგ მისი პატარა ტახტი ცაცხვის ქვეშ დაადგმევინა, თვითონაც გვერდით მოუჯდა და დაიწყო წინდის ქსოვა. მე საქანელაზე ქანაობა დავიწყე. რაც გიგლა ავად გაგვიხდა, აღარ გავქანებულვარ და არც მითამაშნია; სოლიკო კი სულ ტყესა და მინდორში დარბის თავის ამხანაგებთან. დილას ექიმმა ძალიან იმედი მოგვცა გიგლას მორჩენისა: ფილტვების ანთებამ გაუარა და ახლა ის-ღა გმარებთ, რომ არ შეაცივოთ, ან საწყენი არაფერი აქამოთო.

ვენაცვალე ბიჭიკოს! საქანელაზე რომ ვქანაობდი, ცაცხვზე მერცხალი შემოჯდა და მორთო ჭიკჭიკი. გიგლა წამოჯდა ლოგინზე და თვალეებით ჩიტს ძებნა დაუწყო. როცა დაინახა, წამოიძახა: „ჰი-ჰი, აგე ციტი!“

— ჰო, თავს შემოგველოს დედა: ჩიტსაც უხარია, რომ შენ კარგად გახდი, — უთხრა დედამ. იმედი მაქვს — ამ ერთ



კვირაში სრულიად გასაღდება; წინანდებურად თავის მხარეში ურემში ჩავსვამ და სასერიზოდ წავიყენ. სოლიკოს კი ნებას არ მივცემ, რომ ურემში შევებას, რადგან გიგლას ავადმყოფობას ის სულაც არ დარდობს.

18 ივნისი.

დილას რომ გამომეღვიძა, დედა და მამა გიგლას გვერდით უსხდნენ და თვალელებში ჩაჰყურებდნენ. ძალიან დამშვიდებული იწვა: არცა კვნესოდა და აღარც წინანდებურად ხელებს იქნევდა. მგონია ეს იმის ნიშანია, რომ აღარაფერი სტკივა. დედა კი დღეს უფრო დარდიანად არის, ვიდრე წინად. ისე გამოსცვლია სახე, რომ მე ვფიქრობ—ისიც ავად უნდა იყოს: ზევით ტუჩი დაჰმოკლებია, თვალელები დაჰპატარავებია და ცოტათი კიდევ დაეღმებია, აი, ჩინელ ქალებს რომ ჰხატავენ ხოლმე, ისე; წარბები დაბლა დაჰშვებია; ლოყის თავებსაც ადგილი უცვლიათ და თვალეებს მიახლოვებია. ღმერთმანი, რომ არ ვიცოდე, რომ ჩემი დედილოა, სხვისი დედაკაცი მეგონებოდა. უთუოდ გიგლას დარდით მოუვიდა ასე. ღმერთო, ოღონდ გიგლა მომიჩინე, და აღთქმასა ვდებ—არც დედ-მამას ვაწყენო და აღარც სოლიკოს წავეჩხუბო, თუნდა მან ტიკინები სულ დამიმტვიროს!

22 ივნისი.

დღეს მესამე დღეა, რაც გიგლა დავასაფლავეთ. ის გადაიცვალა 19 ივნისს, 1915 წელს, დილის 10 საათზე. საწყალი დედა, რამდენსა ტიროდა ამ დღეს! მამაჩემი და მეც ბევრს ვტიროდით, მაგრამ დედის ტირილი სულ სხვანაირი იყო. მამა ხშირად გადიოდა გარედ და სხვა და სხვა-და-სხვა განკარგულებას აძლევდა ჩვენ მოჯამაგირე თედოს და ნათლი-დედა ფეფენას. მე თუმცა გარედ არ გამოვსულვარ, მაგრამ ვინ შემოდიოდა, რას ამბობდნენ, ან მეორე ოთახში რას აკე-



თებდნენ,—ყველაფერი მესმოდა; ისიც კი მესმოდა, ^{მეც ვინაა} სოლიკო ჯოხით რკალს როგორ აგორებდა და დარბოდა ეზოში; დედაკი გიგლას მეტს არაფერს ხედავდა და არაფერი ესმოდა. ბებია რომ მოვიდა და ოთახში შემოვიდა, მარტო ის შენიშნა, გადაეხვია და უფრო უმატა ტირილს.

იმ ღამეს თითქმის სულაც არა მძინებია. შუალამის ხანს ბებია მძალად გამხადა ტანისამოსი და ჩამაწვინა ლოგინში. მეც აღარ ვაწყყინე და დავხუკე თვალები, მაგრამ ძილი კი აზლოც არ გამკარებია,—სულ გიგლა მედგა თვალწინ: აი, ის კალთაში მიზის და საქანელაზე ვაქანავებ; აი, მე და სოლიკო პატარა ურემში ვართ შებმულნი; შიგ გიგლა გვიზის და დავასრიალებთ ეზოში. მას ხელში შოლტი უჭირავს, გვიქნევს და თან გვიყვირის—„ჰაცუ!“

მერე ვნახე ბლომად ბალები, რომელთაც წრე გაეკეთებინათ და მალლა-მალლა ხტოდნენ. ეს წრე ხან დიდდებოდა და ხან პატარავდებოდა; ბავშვებიც ხან ძალიან მალლა ხტოდნენ, ხან კი მიწას ძლივსა სცილდებოდნენ. უცებ მე ყველაზე მალლა აფერინდი, მაგრამ თავი ველარ შევიკავე და ტყვიასავით დაბლა დავეშვი. ჩემს ქვეშ პირდაპირ გიგლა იწვა, თვალები დახუკული ჰქონდა, სახე გაფითრებული; ვატყობ, რომ მას უნდა დავეცე და დავიწყე ყვირილი. დავეცი დაბლა, მაგრამ გიგლა იქ აღარ იყო. რომ გამომეღვიძა, სულ ოფლში ვცურავდი. ფანჯრიდან სინათლე შემოდის: ეტყობოდა—გათენებულიყო. მე მაშინვე ტანისამოსი ჩავიცი და გაველ იმ ოთახში, სადაც გიგლა ესვენა.

დედის დანახვაზე გულმა კანკალი დამიწყა: მასაც გიგლასავით გაფითრებული და უძრავი სახე ჰქონდა, თვალები გაშტერებული. მე მალალის ხმით დავიწყე ტირილი, მხოლოდ გიგლაზე კი არა, დედაზე, რადგან მეგონა, რომ ისიც მოკვდა. ჩემი ხმა რომ გაიგო, დედამ ხელი გამომიწოდა და მითხრა:

—ნუ სტირი, გენაცვალე! აი, ხომ ჰხედავ, მე აღარ ვტირი:



ეროვნული
დღიური

გიგლა ანგელოზი იყო და ანგელოზებთან გაფრინდებოდა. ვარდი მას და მაგრად ჩავეყარ გულში. შემდეგ მოვიდნენ ბევრი სტუმრები. მღვდელმა ყველას სანთლები დაურიგა და დაიწყო რაღაც უცნაურ ხმაზე ლოცვა. სოლიკოსაც ანთებული სანთელი ეჭირა და ჩემს გვერდით იდგა. უცებ წამოიყვირა:

— უი, დაგელვენთა, დაგელვენთა!—დედამ ყურადღება არ მიაქცია, მამამ კი შუბლი შეიკრა. რა მოუფიქრებელი რამ არის სოლიკო: განა როცა სახლში მიცვალებულია და მღვდელი ლოცულობს, სანთლის დაღვენთებას ყურადღება უნდა მიაქციოს!

კოტა ხნის შემდეგ თადეოზიანთ მოურავის შვილებმა, ლიზამ და კოტემ, მშვენიერი ყვავილების გვირგვინი შემოიტანეს და გიგლას კუბოზე დადეს. სოლიკო წაეტანა: მგონია, შუაში რომ საუკეთესო ვარდი იყო, ის უნდა მოეწყვიტა. მე ისეთი დავარტყი გამოწვდილ ხელზე, რომ ლაწანი გამოიღო. მამამ ეხლაც წარბები შეიკმუხნა. ვიგრძენი, რომ ეს მარტო გიგლას კი არა, მეც შემეხებოდა, რადგან სოლიკოს სიცელქეზე თავი ვერ შევიკავე და, ხელის დაქერის მაგიერ, მას მაგრად ჩავარტყი.

პანაშვილის გათავების შემდეგ დედა ისე მაგრად დაეკონა გიგლას, რომ მამამ და ბებია მძივს მოაგლიჯეს. როცა კუბოს სასაფლაოზე მიასვენებდნენ, მამა და დედა ერთად მოსდევდნენ უკან. მამას მარცხენა ხელი დედასთვის წელზე შემოეხვივნა, რომ არ წაქცეულიყო; მარჯვენა ხელი კი სოლიკოსთვის წაველო ხელში. მე დედას მარცხნივ მივსდევდი. გზის ნაპირას ერთ ბუჩქში შაშვმა დაიქახუხა და გადაფრინდა მეორეზე.

— აბა, თვალები გაახილე, შე დედა-მკვდარო, შენ ხომ ძალიან გიყვარს ჩიტები!—უთხრა დედამ გიგლას ისე დაბეჯითებით, თითქოს გიგლა მკვდარი კი არა, მძინარე იწვა კუბოში. დედას სიტყვებზე სოლიკომ ქვას წამოაგლო ხელი



და გაისროლა ბუჩქებისაკენ; მე კი გავიქეცი წინ და ვიფიქრე, რა ვიფიქრე ჩავეხედე თვალეში; მაგრამ ის უძრავად იწვა და თვალეშიც დახუჭული ჰქონდა. არა, სულ დახუჭული კი არა, — თუმცა ქვევითი და ზემოთი წამწამები ერთმანეთს ეხებოდნენ, მაგრამ ქუთუთოებს შუა ღია ადგილი იყო დარჩენილი, სადაც თვითონ ნაპერწკალი ბეუტავდა. ეს ნაპერწკლები ჯერ უძრავად იყვნენ, მერე კი დაიწყეს ხტომა.

შევნიშნე, რომ მამაც, დედაც და ყველა იქ მყოფნი ბარბაცებდნენ და წაქცევას ლამობდნენ. მე გამიკვირდა: ასე უცბად ყველას რა დაემართათ—მეთქი?!. მეტი აღარაფერი მახსოვს. როცა გამოვერკვიე, შინ ლოგინში ვიწექი და გვერდით დედა მეჯდა.

— თავს როგორ გრძობ, გენაცვალე? — იკითხა მან ღიმილით. ღმერთო, რა უცნაური იყო ის ღიმილი! თავის დღეში არ დამავიწყდება: მთელი მისი სახე ღრმა მწუხარებას გამოხატავდა; ტუჩები კი, თუმცა ნაღვლიანად, მაგრამ ძაინც იღიმებოდნენ. მე მივხვდი, რომ მწუხარება გიგლას ეკუთვნოდა, ღიმილი კი — მე, რადგან ის მკვდარი იყო და მე — ცოცხალი. გადავებვიე დედას და უთხარი:

— კარგადა ვარ, დედა, კარგად! წუხელ არ მძინებია, დაღლილი ვიყავი და იმიტომ წამივიდა იქ გული...

23 ივნისი.

გამიგონია: როცა ვინმე გადაიცვლება, იმისი სული ორმოცი დღის განმავლობაში თავის ოჯახს დასტრიალებსო. ახლა დავრწმუნდი, რომ ეს მართლა ასეა. დილას ცაცხვის ქვეშ ვიჯექი და წიგნსა ვკითხულობდი. შევნიშნე, რომ საქანელა ქანაობდა. ავიხედე მალლა: ფოთლები გაჩერებული იყო; ერთი ფოთოლი რა არის, ერთიც კი არ ირბეოდა; საქანელა კი გადიოდა და გამოდიოდა! მე მაშინვე მივხვდი, რომ ეს გიგლას სული ქანაობდა. ამ დროს სოლიკო ჯოხის ცხენზე შემჯდარიყო და ჩემკენ მოაქროლებდა. ცაცხვთან



რომ მოვიდა, ჯობი გადაავლო და გაემართა საქანლასკენ გასაქანებლად. მე წამოვბტი და წინ გადაველობე. დიდხანს ვიძიძგილავეთ, მაგრამ არ გაუშვი, სანამ გიგლამ ქანაობა არ გაათავა.

სალამოთი, რადგან ეინელი დაიწყო, ჩაი სახლში დავლიეთ. ყველანი შინ ვიყავით: მამაც, დედაც ბებიაც, სოლიკოც. ჩაის სმის დროს ტალანში ვილაცის ფეხების ბაკუნი შემოგვესმა. ყველამ ერთმანეთს შევხედეთ. დედამ ასადგომად წამოიწია. ამ დროს გაისმა სუსტი „ქრიი“, და კარები მძიმედ შემოიღო. ფერ-წასული დედა ისევ სკამზე დაეშვა. მამა წამოდგა და კარები ჩაკეტა, თან ჩაილაპარაკა:—ეს ოხერი ქარი ამოვარდნილა და ღრუბლებს ისევ გადაჰყრის: ძალიან კი უჭირს ვენახებს წვიმა!

ვიცი, ეს ჩვენ დასამშვიდებლად სთქვა, თორემ კარების გაღების მიზეზი სულ სხვა იყო.

24 ივნისი.

წუხელ სიზმარში გიგლა ვნახე. ერთი დიდი ბალი იყო, ვარდ-ყვავილებით სავსე, სადაც გიგლა თავის ტოლ ბავშვებთან თამაშობდა. მე დაუძახე, რომ ჩემთან მოსულიყო, მაგრამ ის ბუჩქებში დამემალა. ამ დროს დედა დაღონებული და თავჩალუნული ჩემკენ მოდიოდა. გიგლამ დედას რამდენჯერმე დაუძახა, მაგრამ მან ყურადღება არ მიაქცია. არ ვიცი—ვერ ვაიგონა, თუ სხვა რამე იყო მიზეზი. მერე მე და დედა ერთად იმისკენ წავედით, მაგრამ ისიც და სხვა ანგელოზებიც, (იმით შევატყე—ანგელოზები იყვნენ, რომ ყველას პატარა ფრთები ესხათ), ჩვენ მიახლოვებაზე უკან-უკან წავიდნენ; ბოლოს ყველანი აფრინდნენ და თვალს მიეფარნენ. რომ გამომეღვიძა, თვალები ცრემლით მქონდა სავსე.

ჩაის დაღვეის შემდეგ შევატყე, რომ დედა და მამა საიდუმლოდ რაღაცაზე ლაპარაკობდნენ. შემდეგ დედამ საღლაც



წასასვლელად მზადება დაიწყო.—მეც წამოვალ, ^{ერთგულნი} ^{გვეყვითნება} უთხარი მე. ეტყობოდა—დედას ჩემი წაყვანა არ უნდოდა და მითხრა, რომ იმას და მამას სხვაგან ცოტა საქმე აქვთ და ისევ მალე დაბრუნდებიან.—მეცა მაქვს საქმე: მეც უნდა ვნახო!—უპასუხე. დედა მიხვდა, რომ მე ვიცოდი, სადაც მიდიოდნენ და ცოტა ჩაფიქრების შემდეგ სთქვა:

— კარგი, წამოდი.

გავიქეცი ჩვენ ბაღში და ყვავილები დავკრიფე. სასაფლაოზე რომ მივედი, თვალებით გიგლას საფლავს დაუწყე ძებნა. სასაფლაოს განაპირად დიდი კაკლის ძირში შევნიშნე ერთი პატარა, ახლად მიწა-მიყრილი საფლავი. ზედ ყვავილების გვირგვინი იდო. მივედი და ჩემი ყვავილების კონაც იქ დავდე, სადაც ჩემი ფიქრით გიგლას მარჯვენა ხელი უნდა ყოფილიყო. დედა უხმოდ იღველფებოდა და ნაკადად მომსკდარ ცრემლებს ცხვირსახოცით იწმენდა. მამა თავჩაღუნული და ცრემლ-მორეული იდგა და მალი-მალ ცხვირს იხოცდა. მე დიდხანს დავცქეროდი საფლავს დაღონებული. თვალებმა გასკვრიტეს მიწის სქელი ფენი და გამოჩნდა თეთრი, ღია-გადაკრული კუბო; შემდეგ კუბოს სახურავს გაატანა მხედველობამ და დავინახე კუბოში მწოლარე გიგლა, ფერმკრთალი, მაგრამ მომღიმარი, როგორც წუხელ: ალბად ესიამოვნა ჩვენი ნახვა.

— კარგი, კმარა!—სთქვა კარგა ხნის შემდეგ მამამ:—წავიდეთ შინ.—ამის შემდეგ დედა კიდევ დიდხანს იჯდა უძრავად და დაშტერებით უმზერდა გიგლას საფლავს. არ ვიცი, რას ფიქრობდა, ან რას ხედავდა. გიგლას საფლავის ნახვით თითქოს გული გამითბა, გაიზარდა, და მთლად ჩემი არსება სევდით აივსო; მხოლოდ ეს სევდა არ იყო ისეთი მტანჯველი, როგორც პირველში.

შინ რომ მივედი, ბებიამ გვითხრა, სოლიკომ აქაურობა გადააქოთა თქვენის ძებნით და, რომ ვერ გიპოვათ, ბევრი

იტერაო. კარგი, რომ ვერ გაიგო ჩვენი წასვლა, თორემ გიგლას ყვავილების კონას მოსტაცებდა.

25 ივნისი.

მთელი დღე ვადულებლივ წვიმს. სოლიკო დღეს აღარ წასულა მეზობლის ბიკებში სათამაშოდ და სულ შინ ბუღარობს. რალაც მოწყენილობას ვატყობ: უეჭველია, რამე დააშავა და ეშინია, რომ მამა არ გაუჯავრდეს. დღესაც იყო ჩვენსა გიგლა. არამც თუ იყო, კიდევ დაგველაპარაკა. ეს ასე მოხდა: ვსადილობდი. მე დედას გვერდით ვიჯექი. უცბად გიგლას საბავშვო სკამმა, რომელიც კუთხეშია მიმაღული, ტოკება დაიწყო. ჩვენ ყველანი იმას მივაჩერდით.

— თაგვი გაირბენდა, და ის გაატოკებდა, — სთქვა მამმა.

მკაფიოდ მომესმა გიგლას ხმა: — დედა! — დედამ შემომხედდა ტ მკითხა: — რად მეძახი, შეილო?.. ფერი როგორ წაგსვლია: ავად ხომ არა ხარ? — მე კი არა, გიგლა გეძახოდა, — უთხარი მე. — რას ამბობ, შეილო? გიგლას აქ რა უნდა: ის სამოთხეშია, ანგელოზებთან! — ამას რომ ამბობდა, მომეხვია და გულში ჩამიკრა; თან უცბად ისეთი სახე გაუხდა, როგორიც გიგლას გადაცვალების წინა დღეს ჰქონდა. აღბად იმასა ჰგონია, რომ მე ძალიან ავადა ვარ და ვბოდავ; ამიტომ დასამშვიდებლად უთხარი:

— განა ახლა, — წუხელა ვნახე სიზმარში, რომ გიგლა მოსულიყო და შენ გეძახდა.

თუმცა ყელში არაფერი ჩამდიოდა, მაგრამ, ვითომ არაფერია, ავიღე კოვზი და წვეწვ დაუწყე ჭამა. დედა ცოტა დაშვიდდა. მამამ სთქვა: — სიზმრები ნერვებ-აშლილობაში იცის: ხვალ ექიმს ნერვების დასამშვიდებელ წამალს გამოვართმევ და ორივემ დალიეთ.

ეტყობა — დედაც ხშირადა ჰხედავს ხოლმე გიგლას, მაგრამ არ ამბობს.

26 ივნისი.

თითქმის მთელი დღე ფანჯარასთან ვიჯექი. ხან წიგნსა ვკითხულობდი და ხან ბალში ვიყურებოდი. თინელლავდა. ცაცხვის ფოთლებიდან ჩამონადენ მსხვილ წვეთებს მიწაზე ტკაპი-ტკუპი გაჰქონდა. ჩიტების ჩვეულებრივ მხიარული ტრია-მულის და სრიალის მაგიერ, იმათი ნაღვლიანი და ნაწყვეტ-ნაწყვეტი „ეივ!—ეივ-ეივ!“ ისმოდა და მეც გამოურკვეველის ნაღვლით მივსებდა გულს. ამ დროს სოლიკო ოთახში ბურთს ათამაშებდა. მალლა შესროლილი ბურთი ხელში ველარ დაიჭირა, რადგან ქერს მაგრად მოჰხვდა და დაბლა ტყვიასავით მარდად წამოვიდა; ჯერ იატაკზე დაიწყო ხტომა და მერე ტახტის ქვეშ შეგორდა. სოლიკო შეძვრა ქვეშ და, კარგა ხნის შემდეგ, იქიდან რაღაცა გამოათრია.

ყველა ამას მხოლოდ ვგრძნობდი, თორემ ხედვით ვერა ვხედავდი, რადგან ფანჯარაში ვიყურებოდი და სოლიკოსკენ ზურგი მქონდა შექცეული. მხოლოდ, როდესაც ოთახში სრული სიჩუმე ჩამოვარდა, მე მაშინ მივიხედე უკან და დავინახე, რომ სოლიკოს გიგლას ურემი გამოუფგორებია, ხელები ხელნახე წაუვლია, როგორც გიგლას ტარების დროს, და გაშტერებული მისჩერებია იმ ადგილს, სადაც გიგლა იჯდა ხოლმე. თვალები გასდიდებოდა, ტუჩები მაგრად მოეკუმშა, წარბები მალლა აეწინა; თუმცა ყურებს მოძრაობა არ შეუძლია, მაგრამ ისე მომჩვენა, თითქოს ყურებიც ასცქვეტოდა.

დიდხანს იდგა ასე გაშტერებული. ბოლოს ხელნას ხელები გაუშვა, მარდად გატრიალდა, ტახტზე გაგორდა და დაიწყო სლუკ-სლუკი. ჩემ შეკითხვაზე, თუ რა დაემართა,

იმან ტირილი ამოუშვა. დედას დაუძახე. დედა მაშინვე შემოვიდა, მივიდა სოლიკოს თან, ხელები გადაჰხვია და ჰკითხა:—ხომ არაფერი გტკივა, გენაცვალე, რადა სტირი?—გამიშვი, გამიშვი!—დაიწყო სოლიკომ ყვირილი. ხელების და ფეხების ქნევით გაინთავისუფლა თავი დედის მოხვეწისაგან და ახლა იატაკზე გაგორდა. თან ისე საშინლად ღრიალებდა, თითქო გულ-მუცელში გახურებულ შამფურებს უყრიანო. შემოვიდა ბებიაც და თავისებურად ტკბილად მიუაღერსა:—რადა სტირი, ჩემო თვალის ჩინო,—დედამა და ქეთომ გაგაჯავრეს? დამაცადე, როგორა ვცემო მაგათ! წადით აქედან. ჩემი შვილი მე მეტყვის, რისთვისაც ტირის. ჰო, ხომ მეტყვი, გვრიტიკო?—ბებიას სიტყვებზე სოლიკომ ტირილს უკლო და თითქოს შეკითხვაზედაც თავის კანტურით თანხმობა განუცხადა!

მე და დედა მეორე ოთახში გავედით. სოლიკო მართლა გაჩუმდა და სლოუკ-სლოუკით ბებიას რაღაცა უთხრა. ცოტა ხნის შემდეგ ბებია ჩვენთან გამოვიდა და გაჯავრებით შემოილაპარაკა:

— ჩაეძინა... ასე როგორ შეიძლება? ბავშვი ღვთის ანბარა მიგიტოვებია: აღარც ტკბილი სიტყვაა მაგისთვის, აღარც აღერსი. მითხრა: ვიგლა რომ აღარა გეყავს, იმიტომ ვტირიო. ბევრის დარდით და ტირილით აღარაფერი ეშველება; ახლა შენი ფიქრი და ზრუნვა ამათ უნდა მიაპყრო. დედამ არაფერი უპასუხა, გავიდა და სოლიკოს საბანი დაჰხურა.

გამოღვიძების შემდეგაც სოლიკო მთელი დღე დაღვრემილი და მოწყენილი იყო. საღამოთი დედამ ორივე გვერდით მოგვისხა და „იავნანამ რა ჰქმნა“ წამაკითხა. სოლიკო გულმოდგინედ ყურს მიგდებდა. კითხვა რომ გავათავე, დედასა ჰკითხა:



— ქართველადიანთ სოლიკო და გიგლა რაღა იქნენ, დედილო, — დაიხოცნენ?

— არა, შეილო, — უპასუხა დედამ: — იმათ ხომ მარტო ერთი შვილი ჰყავთ — ქეთო, ვაჟები სრულიად არ ჰყოლიათ.

სოლიკომ იქვის თვალით შეჰხვდა. ცოტა ჩაფიქრების შემდეგ დედას შეეხვეწა კითხვა მისთვისაც ესწავლებინა, რომ თავად წაეკითხა ეს წიგნი. ვენაცვალე! როგორ გამოიცვალა და დაქვიანდა?!. ახლა ძალიანა ვნანობ, რომ წინად მასთან ჩხუბი მომდიოდა ხოლმე.

დ. ძეძამიძე.





ფრთხსნის სიმღერა.



შვიდობით, კობტა სამშობლოვ,
მშვიდობით, ტურფა მხარეო:
შენსაე უბეში გამოზრდილს,
დღე მომეახლა მწარეო!..
მშვიდობით, ჩემო სამშობლოვ,
ჩემო მზევ, ჩემო მთვარეო!..

მთას შემოადგა ღრუბელი,
დაბნელებულა ბარეო...
ეს შემოდგომა ტიადი
რა დაწყველილი არეო!..
გიჟმაყად გადაქცეული
აღარ გვასვენებს ქარეო:
დაჭლიჯა ყვაეილ-ბუჩქები
კრემლისგან განამწარეო!..



ზუზუნებს გულის მომკვლელად;
 ნეტავ ვისზეა მწყრალიო?
 ველურსა, გაუმადლარსა—
 არა აქვს ცოდო—ბრალიო...

ხან ხეხილს დაეტაკება,
 ძირში ამოჰგლეჯს ტიალი,
 ხან მტვერს ჰხვეტს შარა გზიდანა,
 გააქვს გრგვინვა და ზრიალი...
 მოგვწყინდა მისი ნაეარდი,
 მისი უმიზნო ტრიალი...

ჰხედავ, რა დაბნელებულა
 თეთრი კამარა ცისაო...
 სეველიანს, კაეშნიანსა
 მწარე კრემლები სდისაო.
 გულს ჰზარავს დაობლებულსა
 თამაში ღრუბლებისაო...
 ნისლებში შეფარებულა
 მწყვერვალი მალალ მთისაო!..

დაობლებულა მინდორი,
 დაობლებულა ველიო.
 ზაფხულს თან გაჰყვა დროებით
 ცხოვრება უზრუნველიო!..

მაგრამ გეწამს—მოგვიფრინდება
 წარმტაცი გაზაფხულიო..
 და მის მშვენიერ წალკოტზე
 ახმაურდება გულიო...



მაშინა ნახეთ, მშობელნო,
ბედნიერება სრულიო:
წინ მოწმენდილი კამარა,
ძირს—მდელი მოქარგულიო!..


გ. ლეონიძე.





სალამური*)

(თქმულება).



ყო ერთი ვაჟიშვილი,
 სულ ნორჩი და ჯერ პატარა,
 უთვისტომო, უმოყვასო,
 მხოლოდ დედის ანაბარა.
 დედას არა შორდებოდა,
 დედის გულზე სკვრეტდა მზესა,
 ხოლო ჰკენისდა უდედოთა
 და ჰგლოვობდა სიცოცხლესა.
 დედის მკერდზე უცხოეთი
 უჩნდა თავის სამშობლოდა,
 ხოლო მარტოს—თვით სამშობლო
 უცხოეთად, უდაბნოდა.
 ერთხელ მთვარემ ოქროს რქები
 როს დასაველეთს ჩაიტანა

*) ამას წინაღ ჩემ „მწყემსის წერილებში“ პატარა მკითხველებს დაეპირდი: მწყემსებისაგან გაეციე ერთი თქმულება სალამურზე და ლექსად მოგწერათ—მეთქი. ვასრულებ ჩემ დაპირებას და გიგზავნით ამ თქმულებას, ლექსად დაწერილს.

და ნიავემა ყვეფილები
 გააქან—გამოაქანა,
 მალლიდანაც როს ბუღბუღმა
 ყვეფილთ რხევას მისცა ბანი
 და აიკმა სურნელებად
 მრავალფერი ხეივანი,—
 დედა მისი უამბობდა
 ზღაპრებს სხვა-და-სხვანაირსა
 და ზღაპრებში ჩააქსოვდა
 ქვეყნის წევას და გასაქირსა.
 უამბობდა: „იცი, შვილო,
 ოქროს მეფეს რა გადახდა?
 გველეშაპის მსხვერპლად ყოფნა
 მეფის შვილსა წილადა ჰხვდა;
 მეფემ კია შვილის ნაცვლად
 ძმის ობოლი მიჰგვარა მას:—
 თურმე მეტად ჰყვარებია
 შვილი მშობელს, ვიდრე ძმა-ძმას.
 მაგრამ, შვილო, დაიძინე...
 დაიძინე, გეტყვი ნანას...
 დაიძინე, რომ დილაზე
 მიეგებო კვლავ ქვეყანას.“
 უთხრა ნანა, დედის ნანა,
 ტკბილი და ცრემლ-მორეული;
 იმ ნანაში ტრიალებდა
 დედის ტრფობა, დედის გული.
 მთებს დააწვიათ ჯანლი დარდათ,
 ჩამოსცვივდათ ოხვრა ქანდრებს,
 და კანკალი აუვარდათ
 თვით უგრძნობელ აღეანდრებს.



გაეღვიძა... ცხრა-თვალა მზე
 ამშვენებდა აღმოსავლეთს;
 ფრინველები ფრინველებსა
 ულოცავდნენ ნეტარსა ბედს.

სიხარული, ვით ფრთოსნებზე,
 უხვად იყო კაცთა ზედა,
 ხოლო ვაჟსა აღარ ჰყავდა
 თავის გვერდით თვისი დედა.

„რა უყავით დედა-ჩემი,
 მითხარ ცავ და დედამწავ,
 თორემ მტერად გადაგიქცევთ,
 დედა ჩემის მზესა ვფიცავ;

მითხარ, ცავ და დედამიწავ,
 რა უყავით დედა-ჩემი?..“
 მაგრამ მისთვის არ რა იყო
 საპასუხო ხმის გამკემი.

შავ ფიქრებით დაბინდული,
 ვით საფლავით წამომდგარი,
 მოეფინა მთელ ქვეყნას
 ბედისაგან გარეწარი.

მისი ენა არ ესმოდათ,
 არც ესმოდა მას სხვის ენა,
 ფუჭი იყო მის ჩივილი,
 საკითხავად ქვეყნად დენა.

ყველამ სთქვა, თუ ვინ არიო,
 ყველამ ხელი აუქნია:
 იქ ეკალი წამოედო,
 სად ჰხედებოდა წინად ია.
 სად არ იყო: ვის კარებზე
 არ იდგა და არ ჩიოდა;



მაგრამ კაცთა ვერ გაიგეს,
 თუ ცრემლები რათ სდიოდა.
 მიაღვა ერთ დიდ ქვეყანას,
 სწორეს, უმთავორაკოსა,
 რომლის სივრცეც თვალუწვდენი
 თოვლსა თეთრად შეემოსა.

ცივი იყო ის ქვეყანა,
 და მცხოვრებნიც იყვნენ ცივნი,
 იმათ გულში არ ბრწყინავენ
 კაცთა მოყვარების სხივნი.

მათ მშობლისა არ რა უთხრეს,
 ვერ გაიგეს მისი დარდი,
 ვერ გაიგო ვაჟიშვილმაც
 თვისი მშობლის მისამართი.

ყველამ გვერდზე აუარა,
 ყველამ ავად გადაჰხედა,
 და დუმილით ჩამოსწვეთდა
 ვაჟსა ცრემლი ზედი-ზედა.

გზა განაგრძო და მიაღვა
 სხვა ქვეყანას, სხვანაირსა:
 სულ ზღვა იყო მოტორტმანე,
 ვერ ჰხედავდა განაპირსა.

ჩაჯდა ნავში, შეაცურა,
 მიაჯახა ტალღას ნავი,
 დაუღლელად მიაპობდა
 მშფოთარე ზღვას ფიჭრებ-შავი.

ზღვა ოხრავდა, ზღვა ქმინავდა,
 ზღვა ნავს გრგვინვით მიაფრენდა,
 ის ჰკითხავდა—„სად არისო“,
 მაგრამ ზღვა მას არ უსმენდა;



და მის ცრემლი, ზღვას ჩართული,
 ზღვასა უფრო აღადგენდა.

თევზთა ვერ სცნეს მისი კირი,
 ვერ გაიგის ნიანგებმა
 და დაჰფარეს ყრმის გულის ხმა
 მოგუგუნე ზღვის ტალღებმა...

ვერ ისმინა იქ მან კარგი
 და მისცურდა სხვა ქვეყანას;
 იქა მთანი, ცად აჭრილნი,
 სთოვლდნენ წყაროს ცრემლთ მანანას.

კლდენი, ხეენი და ტყეები;
 უღრანი და უდაბურნი,
 ისე იდგნენ წარბ-შეკმუხვნით,
 ვით ბედის წინ უბედურნი.

იქა ხალხი გულ-პირქუში,
 იმ უდაბურ კლდეებივით,
 სულ მკმუნვარე დადიოდა,
 არ გამთბარი ტრფობის სხივით.

ჰკითხეს ვაჟსა: „რას დადიხარ,
 რა გაწუხებს, რასა სჩივი,
 ან რა ენას ლაპარაკობ,
 რას ოხრავ და რასა ჰკივი?“

ბავშვმა კი მათ ესა ჰკითხა:—
 დედა-ჩემი სად არისო?
 მაგრამ მათ ვერ შეისმინეს,
 თუ მის გულს რა კმუნვა ესო.

ხალხმა მისი ვერ გაიგო,
 უხიაკმა და უგულომ,
 ზიზღის თვალი გადაავლო
 პატარასა იმ ურჯულომ.

და წავიდა ვატიშვილი,
 თვალზე ხელი რა მოისო;
 დადგა ერთგან ტყიან მთებში
 და შესძახა—„სად არისო?“
 „სად არისო?“ იმა მთებმაც
 გადმოსძახეს მისგან თქმული...
 ბავშვსა გული ამბოჯდა
 და თვალთ მოსკდა ნაკადული.
 იქვითინა, ივაგლაზა,
 მოიჯერა ცრემლით გული,
 და იხილა ხე დიდგულა,
 თავის სიახლოვეს დგმული.
 მივიდა და მოსკრა იგი;
 გამოულო გულში მური.
 ექვსი თვალი გაუხვრიტა,
 და გაკეთდა სალამური.
 ჩაჰბერა და ააკვნესა,
 აატირა, ვით მეტყველი,
 სულ სალამურს ათქმევინა,
 რაცა ჰქონდა მას სათქმელი.
 ჩამოცურდნენ მთები მასთან,
 მიეყუდნენ ერთმანეთსა,
 და გაჰქონდა ყრუ ქვითინი
 ცრემლსა მათგან მონახეთქსა.
 „მოვიდოდნენ შესამკობლად
 ქვეყნად ყოვლი სულიერნი:
 ტყით ნადირნი, წყლიდან თევზნი,
 ზღვით ნიაგნი, ცით ფრინველნი,
 ჩრდილოეთით და სამხრეთით
 მაშრიყნი¹⁾ და მალრიბელნი²⁾“.


1) მაშრიყელი—აღმოსავლეთელი. 2) მალრიბელი—დასავლეთელი.

ისმენდნენ და შეიგნებდნენ
 იმა ყრმისა მწუხარებას,
 თვითონაცა იტანჯვიდნენ,
 დააფრქვევდნენ მღულარებას;“
 მაგრამ თანვე განიკლდინენ
 სიამეს და სიტკბოებას:
 ისმენდნენ, და მის მოსმენით
 განუწყვეტლივ იტანჯოდნენ,
 მაგრამ იმ ტკბილ ტანჯვებითა
 შაინც კიდევ ვერ ძლებოდნენ.
 ყრმა კი კვალად აკვნესებდა,
 ისე ტკბილად და ღვთიურად,
 რომ ბოლო დროს თვითონ იგიც
 გადაიქცა სალამურად.

და დღეს, როცა სალამურსა
 მწყემსი იპყრობს ხოლმე ხელში,
 ჩაჰბერს, და მის მწუხარე ხმა
 გაგვხვევს სევდის სამოსელში,—
 ვისმენთ კვნესას ტკბილ-მტანჯავსა
 იმ ობოლი ვაჟისასა,
 ვინც იტყოდა სალამურით
 ვერ მოძებნას ღედისასა.
 ვისმენთ დაუსრულებელად,
 ვისმენთ, და იმ კვნესით ვსტკბებით;
 ვისმენთ, და ჩვენც ვიტანჯვებით,
 მაგრამ ტანჯვით ვერა ვძლებით.

ი. მჭედლიშვილი.





ღვთის წყალობა მაქვს, რომ ახლა კი სულ სხვა დროა მოდის!..



ას ამბობთ, ბიჭო! სანამ ე სახლს დაედგამდით, ისე ძლიერ მიყვარდა დიდი, მზაპუნა წვიმა უცებ რომ წამოვიდოდა და ფოთლებში ტაშს შემოჰკრავდა, რომ რა ვიცი, —სიხარულით ფეხზე ძლივს-ღა ვიდექი, —გამხნევებული ყბედობდა ბანზე წამოცუცქული ილიკო და მხართემოზე წამოწოლილი ბიჭებს გაფაციცებით რაღასაც უამბობდა.

ბიჭები გატვრენილიყვნენ და ქვემოდ წერგებსა და თხილებ შორის მთვარის შუქით შენათებულ მდინარის მოძრაობას უნებურად თვალს ადევნებდნენ.

— რას მიჰქარავთ, ბიჭო, — განაგრძობდა ილიკო, — ან როგორ არ უნდა მკვარებოდა, როცა ჩვენი ძველი დარბაზი წვიმის დროს ერთ დიდ არღნად გადაიქცეოდა ხოლმე და ისე მიხაროდა, ისე: დედეჩემისა რომ არ მშინებოდა, თამაშობით ავიკლებდი იქაურობას. მაგრამ უბედურობა იმაში იყო, რომ რაც შე ძლიერ მახარებდა, ის დედა-ჩემს გულზე ცეცხლს უკიდებდა და, აი დასწყევლოს ღმერთმა, სწორედ მაშინ საცა კი ქირი და ვარამი თავის სიცოცხლეში რამ გადახდენოდა,



ყველაფერი მაშინ გაახსენდებოდა ხოლმე და ისეთას გვეგონებოდა—ისიც არღანივით მოიმართაო. ერთხელ ისეთი დიდი წვიმა წამოვიდა, ისეთი, რომ რაღა სთქვას კაცმა. სწორედ იმ დღეებში ურწყავში კალო გვება. მოიღრუბლა თუ არა და ი ტიალი ცა მუცელ-დაგვრემილივით რუხ-რუხს მოჰყვა, კალოზე ჩვენებს დიდი ფაციანკალი შეუდგათ: აი, სად ბზეს წამოხვეტავენ, სად გაშლილ თანას შეაგროვებენ, სად ხორბალს შეგვიდნენ... ერთი სიტყვით, ისეთი გაფაციცებული მუშაობა ასტებეს, რომ იქაურობას კორიანტელი ააყენეს. მე ვენახში ვიყავი და იქიდან ყველაფერი მესმოდა.. იქ რომ დედაჩემი გულ-გახეთქილი წიოდა, მე ქვემოდ, ვენახში, როცა უშველებელმა წვეთებმა ვაზის ფოთლებს დოლივით რაკარუკი აუტებეს, ქუდი მოვიხადე და ზემოდ, სწორედ ჩემ პირდაპირ, მამიჩემის დაფხრეწილ შარვლის ძონძებივით შავად ჩამოწოლილი ღრუბლები რომ დავინახე, სიხარულით ტაში შემოვკარ და თანაც შევევედრე ერთი კაი ქუჩუნა წვიმა დაესხა.

ვენაცვალე ქვეყნი გამჩენს! ნეტა ყველაფერი ისე მალე შემისრულდეს, როგორც ის თხოვნა ამისრულდა. ვთქვი თუ არა, ასე წამოუშინა, უსანეთი მადლობა, ასეთი, რომ სანამ ვენახიდან გამოვარდებოდი, წმინდა ლაზარესავით დავლბი.

მაგრამ დასველების დარდი ვიღასა ჰქონდა. შევედი და ბურთ და მოედან დარჩომილ სახლში მეც ჩემ საქმეს შეუდექი. საცა კი რამე მოგვეპოვებოდა—თუნგი, კასრი, ტაშტი, ქვაბი, პირმოტეხილი კოჭობი, ვარცხლი, თაბახი,—ყველა თავ-თავის ადგილას გავამწკრივე, რადგანაც ვიცი—ჩვენ შავ ჰერებს წყალი ცხრილივით სადა და სად გავარდებოდა.

ისიც კარგად ვიცი, წამოქცეულ კოკასავით უფრო ძლიერ რომელ აგილას დაიქუხებდა, და აბა სწორედ იმ ადგილას ჩვენი ჩანახი მიუდგი და მოუთმენლად ცქერა დაუწყებე შენ ვითხრა—დამაბანდებდა. გავარდებოდა ცას წვეთი თუ



არა, ჩვენსასაც ისე სწვიმდა, როგორც ვარედ. ჯერ ბუხარ-
თან ქვარტლისაგან შივად შეღებილი წყალი ისე დაბევედა,
იტყოდით—მელნის ნივლეარიაო. შემდეგ ვარცხლმა დალა-
ბანდივით შემოჰკრა; ჩვენებიანთ მათუას ბუზიკასავით ახლა
თანგირა ქვაბი აჰყუა, ჩემო ბატონო და, ჩანახმა რომ დაი-
წკრიალა, მაშინ კი ველარ მოვითმინე: შემოვკარ ტაში, და
კიდობანთან, ერთ მუქა-ადგილზე, მეც ისე ავყე, რომ ჩემ
სიცოცხლეში არც ერთ დღეობაში ისე გულიანად არ მითა-
მაშია. ან კი გასამტყუნარი ვიყავი? ღვთიშობლი მადლმა,
ყველანი ერთად იქეთ ნაირად შეუბანებდნენ ხოლმე, რომ
რა ვიცი, იმითანა კი ბუზიკა არსადაც არ გამიგონია. ახლა
საქმე იმაში იყო, რომ ი კასრის ბუხბუხი ისე საცინლად
გამოისმოდა, რომ ვკვდებოდი სიცილით და თან წიოკობით
ისეთას ვხტოდი და ვიციინოდი, არავინ იტყოდა, რომ იმ წამს
ქადაგად არ ვიყავ დაცემული.

აკი დედა-ჩემი, რაკი თავისი სახლის ვინაობა იყოდა,
კალოდან გულგახეთქილი ჩამოიქრა და ი წიოკობაში მყოფი
რომ დამინახა, შეშინებული ერთ წუთას კარებში გაჩერდა,
შემდეგ იქვე აყუდებულ მარგილის ნატებს ხელი წამოავლო
და გაცეცხლებული, როგორც მები, ისე შემომექრა.

— აი, შენ კი გიყოს მიწამ პირი, შე გიყო მანასე, შე-
ნა! ქერები რომ თავზე გენგრევა, ის გიხარიან, შე მიწის
ლუკმა შენა, თუ ორიოდ ძნა რომ გიობდება, ისა!.. აი, ჩა-
მოიქეც ცა და ქვეყანა ჩემი ცოდვით, რომ ამ სივაგლახეს და
სიღარიბეს ჩემი დღენი მოვდივარ და მოვტირი. ვერა და ვერ
მეშველა, ვერ ამომძვრა ძალი სული, რომ პატარა მოვრჩე
და მოვისვენო...-ო.

ასე მოიმართა დედა-ჩემი, და საწყალი, რაკი ძლიერ
დალილ-დაქანცული იყო, მარგილი ულონოდ იქვე მიაგლო,
ტახტის პაწია მშრალ კუთხეზე ჩამოჯდა და ტირილი მორთო.
გარშემო კი ყველაფერი არხეინად წიკწიკებდა და მღეროდა.



მე რომ დედამ დამიფრინა, თუ გახსოვთ, დარბაზში წამოვიყვანა და მხარეს ჩამონგრეული საწინახელი არ იყო, იქ გავეჭიანე და იქიდან ბანში აძრომა დავაპირე. მაგრამ დედა-ჩემი რომ არ გამომიდგა, კედელ უკან გავჩერდი, და რაკი ცოტაოდენი სუსხი მაინცა მქონდა, ცალი თვალით დედა ჩემს დაუწყვეტ კეჩრა და თან კი ახლა იქ მოვცე ბუქნასა და კვლანწას... რას იღრიკებით, ბიჭო?! აკი გეუბნებით, იმ დღეს ისე კარგად უკრაედნენ, ის ოხრად დასარჩენი ჩანახი და ჩვენი თანგირა ქვაბი, რომ ძნელი იყო, უსანეთი მადლმა, მოთმენა. ახლა იდედა-ჩემის ტირილსა და წყველა-ქოქვასაც შეჩვეული ვიყავ, და აბა რალა დამიოკებდა. იჰ! ინალვლე... იქ დედა-ჩემი ტირის, და მე კი აქ ბაწარ-მობმულ მაიმუნეითა ვბტი-მეთქი.“ ბარემ ესეც გავიფიქრე, მაგრამ, რომ ვერც ამან გასტრა?! რა ვქნა: მეთამაშებოდა და ვთამაშობდი!

აკი მას შემდეგ ისე გულიანად ხელი აღარ გამიშლია! ან კი იმითანა ბუზიკას სადღა გავიგონებდი. მერე ხომ ჩვენი საქმე, ი „ბუნტობა“ რომ იყო, სულ სხვანაირად დატრიალდა. და ე სახლიც ავიშენეთ...

სწორედ იმ წელიწადს, ბეზარ-მოსულმა და გაცეცხლებულმა დედა-ჩემმა ისეთი ამბავი დააწია, რომ მთელ სოფელს იმაზე დაღდაღანი გაუდიოდა.

ღმერთმა გაუმარჯოთ, მაინც იმ დრომ ძლიერ გვიშველა, თორემ საწყალ დედა-ჩემს აქამდინ ცხრა აღლი მიწა ექნებოდა გათბრილი. მაშინაც შემოდგომა იყო, კაცო და, ხომ იცით, ი წყეულმა წვიმამ შემოდგომაზე თუ პირი მოხსნა, ველარ გაათავებს. ენკენისთვიდან მოჰყვა, ბიჭო, და, ისე იწვიმა, ისე, რომ მზეს დაგვანატრულა და ზეზეურად აგვაობა. აბა, მე ხომ ისეთი ღვთის ცეცხლი და მოუსვენარი ვიყავ, და მეც კი მომერია. სისველისაგან ციება დამაწყებინა და ძვლები ხომ ისე ამიყუყუნა, რომ საცოდაობით ძლივლა ვმოძრაობდი. იცოცხლეთ, რომ მე მივინაბრე და შემოდგომის ფოთოლივით ყვით-

ლად ჩამოვხში. თან, კაცო, რამდენჯერაც დედა-ჩემი ჯიშის მომიგებდა: „ჰე, აბა, ახლა ითამაშეო!“—იმდენჯერ უფრო ისე გამაცია, რომ ჩემი ცოდვით დედა-ჩემი კინალამ გადაირია.

ერთ დღეს გამაცია, რა გამაცია, რომ სულ კბილები ჩამალეწინა; სალამო ჟამზე კი ისეთი დიდი სიცხე მომცა, რომ თურმე ქვეშაგებიდან ვდგებოდი. ახლა თან, როგორც გარედ, რაკი სახლშიაც ისე წვიმდა, ჩემ ლოგინ ზემოდ დედაჩემს ჩარდახი გაეკეთებინა და ის თურმე უფრო მაშფოთებდა. რა ვიცი, დედა-ჩემი ასე მარწმუნებს, და მე კი რომ ჩემ ჭკუაზე ვყოფილიყავ, ჩარდახი და ისიც სახლში უფრო ძლიერ არ გამებარდებოდა?

იმ დღეს თანაც ბატონისეულ ვენახში ჩვენებს რთველი ჰქონდათ, და ის იყო მამა-ჩემმა მეოთხე გოდორი რომ ჩაყარა საწნახელში, ამ დროს ჩაფარი და მოჯამაგირე ყრუ კნიაზს უკან დაედევნებინა და თავისი წილი მოეკითხა. ახლა ის ჩაფარი ვითომ იმისთვის გამოეყოლებინა, რომ რაკი არეულობა არ იყო, ალბად იფიქრა, თავის ნებით არ მომცემენო და ვითომ ძალითა სურდა გაეტანა. მოსულიყვნენ და ბაკის კარებში უწინ ჩაფარს შემოეყო თავი და ი ბიჭი კი, დემეტრიანთ ლაღლაღა, დაბუზულ ნიბლიასავით, უკან თურმე სულგანაბული ამოსდგომოდა. ძაღლმა რომ ყეფა დაიწყო, მამა გარედ გამოვიდა და შეეკითხა, რომელი ხარო. ჩაფარმა თურმე თამამად უპასუხა:

— გამარჯობა შენი, ივანე! ბატონი ქალაქს მიბძანდება და ასე შემოგითვალა, თუ ფულად გინდა—ფული გამომიგზავნეო, და თუ არა და, რაც მერგება, ჩემი მეოთხედი, ეგები ახლავე ყურძნად ჩამომიტანო: თან უნდა წავილოვო მოეკრა თუ არა ამ სიტყვებისთვის დედა-ჩემს ყური, როგორც კი გელ-ქორი აღგილიდან ერთი კი დაძრულიყო, თოხისათვის წაველო ხელი და გარედ რომ გამოვარდნილიყო, ი კაცებისათვის ისეთი თავზარი დაეცა, რომ სულ კუდით ქვა



ესროლინებინა. ჰეი, ე ბიჭები თურმე რომ დაიძრნენ და დედა-ქვეითდნენ! დედაჩემმა ჯერ ძალლი თურმე მიუსია, მერე წყველა-კრულვით უკან რომ გამოედევნა, ჰვა, როგორც სეტყვა, ისე თურმე მიაყოლა. ახლაც იმისა ფიცავს, ხელში რომ რომელიმე შემრჩენოდა, თავს როგორც გველს, ისე გაუქმეკუავდი, ისეთ გუნებაზე ვიყავ დამდგარიო; ჯერ ამ ძალლი წუთი სოფლის ჯაგერს და ჩემი გულის ბუხარს იმაზე ვიყრიდი და მერე ციმიბირს ისე წავიდოდიო.

ზემო უბნელებს დღესაც ეს ამბავი არ დავიწყებიათ. სად არი—სად არა, გოგინაანთ მარუსა ორლობეში ამოივლის თუ არა, დედა-ჩემს სიცილით უწინ ამას შემოსძახებს:

— როგორ იყო, სიდა, შე რომ ჩურჩხელასავით ამოლუმპული ჩაფარს ჰეის სროლით უკან მისდევდი და გაიძახოდი: „ჩემი ჯანი მაგათ შეკამეს, სისხლი დამიწრიტეს და კარზე მომდგარ სიკვდილსაც კი თავისუფლად სულის ამოძრობას არ აცლიანო“.

მართლა და ის იყო და ის დღე. მას შემდეგ ჩაფარს კი არა, მამასახლისსაც კი ეშინოდა ჩვენ კარებზე ამოვლისა. მერე ხომ მალე ი ნადელებიც ჩამოგვაშორეს და მამა-ჩემმა დღეს-ხვალიობით ცოტა წელი მოიმაგრა. ხის მასალა იყო, ალიზი თითონ ამოსჭრა და გაჯაგრებულ დედა-ჩემს; ხედავთ, აი, რა სასახლე წამოუჭიმა.

ახლა, ბიჭო, ზოგჯერ ი დედა-ჩემი რომ გაბრაზდება, უწინ იმას წამოვძახებ ხოლმე:—ე მეფის ღირებული სარკიანი სასახლე ხომ აიშენე და რაღა გაბოროტებს-მეთქი. ამაზე აი რას მიპასუხებს ხოლმე:

— სახლი, ამისა გავერნებამ, ჩემთვის ახლა დიდი საჭიროა არის. სანამ ჯანი მქონდა, შავ მიწას ვიყავ ამოფარებული, ჩემი ძალი და ახალგაზღობა სხვას მუქთად შევალე, და ახლა ერთ ჩანახ მიწას სახლი და კარი რაღა თავში სახლელად მიწინდაო. ამას ისეთი კილოთი მეტყვის ხოლმე, რომ თაფ-



პირი დიდი კეტით რომ დამალეწოს, ათას წილად ის შირჩეენიან...

მაგრამ არც ეგრეა საქმე... ჯერ ჩემი ყვეარი შევასრულო: ისე შოვაწყობ საქმეს, რომ დედა-ჩემი ხელმეორედ გავახალისო. ღეთის წყალობა მაქვს, რომ ახლა კი სულ სხვა დრო მოდის... ო, ო, ო, აგერ ერთი ცხვირიც დამემოწმა, — შესწყვიტა უცებ ილიკომ ლაპარაკი და სიხარულით ზეზე წამოიქრა.

— აი, ხეირი, ხეირი, შაქარა! — ერთხმად შესძახეს ბიჭებმა და ილიკოსთან ერთად ისინიც ზეზე წამოიშალნენ.


მთვარე ამ დროს მთის ვადმოღმა კარგა ზემოდ წამოსულიყო და მთელი სოფელი სხივებში ისე გასაოცრად გამოეხვია, რომ ირგვლივ ყველაფერი რალაც შშვენიერ მოჩვენებას წააგავდა. ზემო უბნიდან ვილასიც ძახილი მოისმოდა:

— არიქა ვანე, ახლა კი ჩქარა დაეიძრათ, თორემ გესმის ვასუის ძახილი?..

— აჰაუ, აუ!... — გამოეხმაურნენ ბიჭები და ერთ წუთში კალისაკენ გაცვინდნენ. ილიკომ კი ჯერ ბაკის კარებს ორ კაპიანი კეტი მიაღო, მაგრა ჩაკეტა, შემდეგ ბაკში დაბმულ თათლა და ნიშა მოზერებს მიესაყვარლა და ჯინ ქვეშ დასაძინებლად ისე გასწია.

ცქვიტი





რკინის გზის ღარაჯი.

ამბავი პეტრე როზეგვერისა.



ქარი მატარებელი შედგა კარნბურგში. სადგურის უფროსი შეშინებული გამოვარდა გარედ. ეს მატარებელი აქ არ უნდა გაჩერებულიყო. კუპედან გამოვიდა ხნიერი, დაბალი ტანის კაცი, მუქ ტანისამოსში გამოწყობილი. სახე უთრთოლავდა. კონდუქტორს ანიშნა, რომ მატარებელს განეგრძო გზა და თითონ ხენეშით დაუყვირა სადგურის უფროსს:

— სადარაჯო № 180! დარაჯი № 180 სადარაჯოდან! დაუყოვნებლივ დაუძახეთ აქ!

— ჩვენ ტელეფონი არა გვაქვს, ბატონო ინსპექტორო: კაცს გავგზავნით დასაძახებლად.

ნახევარ საათს უკან კაცი დაბრუნდა და მოახსენა:

— დარაჯს № 180-ს არ შეუძლიან ახლავე მოვიდეს, რადგან რამდენიმე წუთის შემდეგ ფოსტის მატარებელი გაივლის.

— არ შეუძლია მოვიდეს?—მკაცრად უთხრა ინსპექტორმა და ხელი მოისვა მოპარსულ ნიკაპზე: დიად, დიად—არ შეუ-

ძლია მოსცილდეს თავის ადგილს. იმ კეთილსინიღისიერმა კაცმა კი, როცა ჩქარი მატარებელი მოდიოდა, კარგად გაანება თავი სადარაჯოს; მე ჩემის თვალთ დავინახე, როგორ დაანება თავი მან მატარებელს, გაიქცა და მიიშალა ბუჩქებში. სადარაჯოსთან კატაკ—კი არ დარჩენილა. ოცდაათი წლის განმავლობაში ამისთანა უწყესობა არ მინახავს: სწორედ იმ დროს გაქცევა სადარაჯოდან, როცა მატარებელი ის არის უნდა მოვიდეს! მერე ხომ რკინის გზის გამგეობამ პასუხი უნდა აგოს, თუ უბედურება რამ მოხდა. მე საჩქაროდ გავასამართლებ. სადგურის უფროსო, მაგიერი დარაჯი მზად იყოს!

გაჯავრებული ინსპექტორი მიდი-მოდიოდა აღელვებული. ფოსტის მატარებელი მოვიდა სადგურთან და ისევ ჩქარა წავიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ მოვიდა დაღლილი დარაჯი. ტანისამოსი დასველებული ჰქონდა და ადგილ-ადგილ ტანს ეკვროდა.

ინსპექტორი მივიდა მასთან.

— № 180 დარაჯი თქვენა ხართ?

— დიალ, მე გახლავართ!

— თქვენ უფროსი ინსპექტორი გელაპარაკებათ!— დაუყვირა სადგურის უფროსმა.

დარაჯმა მდაბლად თავი დაუკრა ინსპექტორს.

— წამომყევით!— უბრძანა ინსპექტორმა და წავიდა. შემდეგ დაუწყო გამოკითხვა.

— თქვენი სახელი?

— ფრანც ბაუმგარტნერი.

— ერთი მითხარით, ბაუმგარტნერ, რომელ საათზე გამოვიღის ხოლმე თქვენ სადარაჯოსთან ჩქარი მატარებელი № 5?

— ნაშუადღევის სამ საათსა და 25 წუთზე, — ბატონო ინსპექტორო.

— დღესაც ამ დროს გამოიარა?

— დიალ?



— თქვენ ამ დროს იქ იყავით?

დარაჯი ერთ წამს ჩუმად იდგა, იმიტომ კი არა, რომ არ იცოდა რა ეთქვა: ფიქრობდა, რანაირად ეთქვა, რაც სათქმელი ჰქონდა.

— ბატონო ინსპექტორო,— მოახსენა ბოლოს დარაჯმა, — მე ვიცი, რომ დამნაშავე გახლავარ, მაგრამ სხვაფრივ მოქცევა არ შეიძლებოდა.

— სხვაფრივ მოქცევა არ შეიძლებოდა? — გაიმეორა ინსპექტორმა, და დიდი გაოცების ნიშნად. გააგრძელა სიტყვები,

— ჩემს ადგილას ყველა ასე მოიქცეოდა და უთუოდ ასეც უნდა ყოფილიყო, — სთქვა დარაჯმა.

— მაშ აგრე! ჩემთვის დიდად სასურველია შევიტყო, რამ გაიძულათ გაქცევა იმ დროს, როცა მატარებელი მოდიოდა თქვენ სადარაჯოსთან და ვალდებული იყავით თქვენს ალაგას მდგარიყავით.

ფრანც ბაუმგარტენერმა უპასუხა:

— ადვილი გასაგებია: ბავშვი წყალში გადავარდა.

— ბავშვი გადავარდა წყალში?

— ვხედავდი, რომ გლეხის ბავშვები დარბოდნენ მინდორზე, იმალებოდნენ ბუჩქებში, ადიოდნენ ნაძვის ხის ტოტებზე და ზედ ქანაობდნენ. — წყალში არავინ ჩავარდეს! — ვიფიქრე მე. ნაძვებთან მდინარეა. მერე ყური აღარ უგდე, რადგან ჩქარი მატარებლის გამოსვლა მაცნობეს. ავიღე ჩემი ბაირალი და წავედი ლიანდაგთან. უცბად, ბუჩქებიდან გამოხტა პატარა ბიჭი და დაიყვირა: — ბავშვი წყალში ჩავარდა, წყალში ჩავარდაო! მე გადავხტი ლიანდაგზე, გადავირბინე მინდორი, ბუჩქები, მივედი მდინარესთან და დავინახე, რომ ბავშვი წყალს შიშქონდა. ამ სანახაობაზე, ვინც ცურვა არ იცის, ისიც კი გადახტებოდა საშველად. საბედნიეროთ — მე ცურვა ვიცი: ჩავხტი წყალში და საჩქაროდ ამოვიყვანე ბავშვი. კარგა ხანს მოუნდი იმის მოსულიერებას. ამ დროს ხალხი მოგროვდა და



მე მატარებელი მომიგონდა. რაკი ვნახე, რომ უბედურება არცაა მომხდარა—რა ჩემ სადარაჯოსთან, კმაყოფილი დავრჩი.

ინსპექტორმა ყურადღებით მოუსმინა და შერე დამშვიდებით უთხრა:

— მაშ თქვენ კმაყოფილი იყავით! მე კი არა ვარ კმაყოფილი, და მგონია, რომ გუშინ უკანასკნელად ასრულებდით თქვენ მოვალეობას; თუ კი აქამდე სინიდისიერად ასრულებდით, დღეის შემდეგ ველარ შეასრულებთ.

— ადამიანი რომ გადაარჩინა, ბატონო ინსპექტორო, — გაუბედა სადგურის უფროსმა.

ინსპექტორმა გაოცებით შეხედა.

— თქვენ ამბობთ—ადამიანი გადაარჩინაო, ბატონო უფროსო, რკინის გზაზე იმიტომ კი არ გვყავს მოსამსახურეები, რომ ყველა გამვლელ-გამომვლელი სიკვდილისაგან იხსნან. იმისთვის დაეაყენეთ, რომ დაიფარონ ხალხი, რომელიც ჩვენ გვენდო. იმ დროს, როცა იგი ერთი ადამიანის გადარჩენას ცდილობდა, შესაძლებელი იყო რამდენიმე ასი ადამიანი დაღუპულიყო. ასეა თუ არა?

— ამაზე სრულებით არ მიფიქრია, — სთქვა დარაჯმა.

— გეტყობათ. მაშ რაზე ფიქრობდით?

— არაფერზე. მხოლოდ ვამბობდი: — ღმერთო, ბავშვი წყალში ილუპება-მეთქი!

აი, რას გეტყვით: თუ იმ წამს, როცა მატარებელი, მოდიოდა რომლისათვის სრული ყურადღება უნდა მიგექციათ, მინდორში მოთამეშე ბავშვებზე ფიქრობდით, ჩვენთვის გამოუსადეგარი ადამიანი ყოფილობართ.

— შესმის, ბატონო ინსპექტორო, რომ დიდი დანაშაული ჩამიდენია, მაგრამ მაინც გთხოვთ...

— გესმით და მოინანიებთ თქვენ დანაშაულს?

— გთხოვთ, ბატონო ინსპექტორო... მე ყოველთვის სინიდისიერად ვასრულებდი სამსახურს. თვით სადგურის უფროსი მოგახსენებთ ამას.

— ხუთი წელიწადია დარაჯად არის, — დაემოწმებოდა მისი, — და მცირე შენიშვნაც არ მიუღია.

— კარგი. მაშ, ბაუმგარტნერ, თქვენ მოინანიებთ დანაშაულს და პირობას მომცემთ, რომ მაგვარი შემთხვევა აღარას დროს აღარ იქმნება?

დარაჯი ჩუმად იდგა.

— მაძლევთ პირობას?

დარაჯმა მხრები აიწია.

— შე გკითხავთ, მაძლევთ პირობას, თუ არა?

— ღმერთო ჩემო, — სთქვა დარაჯმა, — როგორ შეიძლება მაგისთანა პირობის მოცემა? როცა კაცის სიცოცხლეს საფრთხე მოელის და შეიძლება შეველა, მაშინ ვინ ფიქრობს იმაზე, აქვს თუ არა უფლება უშველოს: მიდის და შეველის.

— მიდის და შეველის, თქვენის აზრით, მატარებელი რომ იყოს საფრთხეში, თქვენ მიეშველებით, სიცოცხლეს გასწირავთ?

— ამისთანა შემთხვევაშიაც ვინ ყოყმანობს: მიდის და შეველის.

ინსპექტორმა აღარ დაასრულებინა.

— ბაუმგარტნერ, — უთხრა იმან, — თქვენ რკინის გზის მოსამსახურედ არ გამოდგებით: მეტი გულკეთილობის გამო თავს სწირავთ კაცობრიობას, ჩვენ კი ჩვენი მოსამსახურეებისაგან ვითხოვთ მხოლოდ რკინის გზის სამსახურს. ჯამაგირს ამისთვის გაძლევთ, და არა იმისთვის, რომ საზოგადოება დაარსოთ მთელი ქვეყნის საშველად. შემდეგი მატარებელით მიიღებთ დათხოვნის მოწმობას.

ფრანც ბაუმგარტნერმა მხრები შეიშმუშნა და წავიდა.

კარებთან ზურგში მოხრილი და ჰალარა-თმიანი მოხუცებული კაცი იდგა.

— ეს არის? — ჰკითხა მოსამსახურეს მოხუცმა და მიუთითა ბაუმგარტნერზე.



— თქვენ ის კაცი ბრძანდებით, რომელსაც მე უფლებები სველ ტანისამოსზე გატყობთ, რომ ნამდვილად ის ბრძანდებით. — აღტაცებით ეუბნებოდა მოხუცი დარაჯს. მიუახლოვდა, ხელი ჩამოართვა და ტუჩებთან მიიტანა. — ოჰ, საყვარელო და პატიოსანო ადამიანო, შენ გადაარჩინე ჩემი პატარა, ჩემი ერთადერთი საყვარელი ბიჭიკო! უშენოდ ის დაიღრჩობოდა თევზების სამფლობელოში ჩაიძირებოდა და ხვალ შლამით პირ-გავსებულს გამოათრევდნენ ნაპირზე. მომეცი შენი პატიოსანი ხელი.

მოხუცი ხელზე ეფერებოდა თან ხმა-მაღლა იცინოდა.

— მამა! — დაუძახა ყმაწვილმა კაცმა რომელიც იქვე იდგა: — ხუმრობას თავი დაანებეთ. უნდა აპატიოთ: თავის ქკუაზე აღარ არის. მეც მაგაზე უკეთესად არა ვარ. თქვენ რომ არ ყოფილიყავით, ახლა სამგლოვიარო ზარი დაირეკებოდა. ჩვენ მეზობლებსაც ასე დაეღრჩოთ ქალი ამ ორი წლის წინად. ღმერთო ჩემო, მოვსულვარ და კი არ ვიცი — რა გითხრათ. მიიღეთ ჩემგან საჩუქრად საუკეთესო წყვილი ხარი. სიხარულით მოგართმევთ. არაფრით არ შეიძლება მადლობა გადაგიხადოთ. რამდენ ხანსაც უნდა იცხოვროთ სადარაჯოში, ყოველთვის რძე გექნებათ.

— მე აქ აღარ ვიქნები, — უთხრა დარაჯმა და გაიცინა.

— რასაკვირველია, აღარ იქნებით, — სთქვა ახალგაზდა გლეხმა. უფრო კარგ ადგილს მოგცემენ. სამართლიანიც იქნება. შხოლოდ გვითხარით, როგორ შევიძლოთ თქვენთვის მადლობის გადახდა? ის ბავშვი ჩვენი პირმშოა. ღმერთო ჩემო, ახლა ის მკვდარი იქნებოდა. სულელი სულ წყალს დასტრიალებს! ერთი გაუშრეს ტანისამოსი: დავსჯი, უფველად დავსჯი.

გლეხი გაჯავრდა და ხელით ანიშნა, როგორ დასჯიდა.

იმავე წამს დედა და მისი პატარა შვილი მოვიდნენ. პატარა ბიჭს ახალი ხალათი ეცვა; კისერი გაწითლებული ჰქონდა ბევრი სრესით. ყმაწვილი კაცი მივარდა ბავშვს, აიტაცა და

გულში ჩაიკრა. ეტყობოდა წყალთან ტრიალისათვის მზალოდ ეს იყო და სხვა არაფერი.

გლახის ცოლიც მაღლობის გადასახდელად მოვიდა, მაგრამ უსიტყვოდ იდგა და სლუკუნებდა; თან სცხვენოდა, რომ ტიროდა. მერე გონს მოვიდა და გაჯავრებულმა დაუყვირა ბავშვს:

— მოხვალ თუ არა? მაღლობა გადაუხადე, რომ ცოცხალი ხარ.

დარაჯი გაშტერებული იდგა: არ იცოდა—რა ექნა. ამ დროს ინსპექტორმა მხარზე ხელი დაადო და გაჯავრებული ხმით უთხრა:

— ეს ამბავი უნდა გახარებდეთ თქვენ!.. ხომ არ გსურთ ვენაში წახვიდეთ? ვისაც გილდო აქვს სიკვდილისაგან ადამიანის გადარჩენისთვის, ადვილად იშოვის იქ ალაგს. თქვენ ყველგან უკეთესად მოეწყობით, ვიდრე ჩვენთან, და რაც-კი ჩემს ხელთ არის... მზადა ვარ დაგეხმაროთ...

ელ. ანტონოვსკისა.





მყვინთავეზი

(დასასრული *).

III



ყვინთავეის მუშაობას ძალიან უშლის ხელს ზღვის მოქცევა და უკუქცევა. აღმოსავლეთის მდინარის შესართავში მუშაობა შეიძლება მხოლოდ მოქცევისა და უკუქცევის შუა დროს, თორემ წყლის ძლიერებას ვერცერთი მყვინთავე ვერ გაუძლებს, პირდაპირ ზღვაში ჩაიტანს. ამის გამო აქ დღეში მხოლოდ 20 წუთს, ან ნახევარ საათს

მუშაობენ და პატარა საქმეს ხან-და-ხან მთელ თვეებს ანდომებენ.

ერთხელ ჩემი მეგობრები ჰურის მარცვლებით დატვირთულ ხომალდის ამოღებას აპირებდნენ, მაგრამ მოულოდნელად დიდი წვიმა მოვიდა; მუშაობა არ შეიძლებოდა და გემის ერთ პატარა ოთახში მოვიყარეთ თავი. სამივე გამოჩენილი მყვინთავეი: ატკინსონი, ჰანსენი და ტიმანსი აქ იყვნენ და მალე საინტერესო საუბარი გაჩაღდა.

საკითხი მეტად სერიოზული იყო: საჭიროა თუ არა მუზარადისთვის უფრო მაგარი მავთული მაშინ, როცა ძალიან ღრმად უხდება მყვინთავეს ჩასვლა. ატკინსონი, რომელიც სხვებზე უფრო ქვევით ჩადიოდა, ამტკიცებდა, რომ მყვინ-

* იხ. „ნაკადული“, № 7.



თავის ტანისამოსი საკმარისად კარგად მოწყობილი და მარჯვად ფრის გამოცვლა არ ესაქიროება. მხოლოდ ქვიშა გვაწუხებს ძალიან, ამაზე კი ღირს ზრუნვაო, — ამბობდა ის.

— ამას წინად ერთი მყვინთაფი, — მომმართა მე ატკინსონმა, — სრულიად ჩაიფლა ქვიშაში. გემის ქვეშ ხვრელს აკეთებდა. წყალმა ქვიშა ბლომად მოზიდა. სანამ მილსაც დააწვებოდა ქვიშა, კიდევ მუშაობდა, მაგრამ ამის შემდეგ არ გასულა ერთი წუთი, რომ ჩვენი მყვინთაფი აეროსტატივით ზევით ამოვარდა.

— თქვენ შეიძლება არ იცით, როგორ ხდება ეს, — მკითხა იმან. — ჰაერის გასასვლელ ადგილს თუ შექცრავ, ტანისამოსი იმდენად გაიტენება ზევით, ჩასული ჰაერით, რომ მყვინთაფი წყალზე უფრო მსუბუქი ხდება და ერთბაშად ამოტივტივდება, როგორც რეზინის ფიცარი.

— ფიცარზე მომაგონდა, — სთქვა ტიმანსმა, რომელიც აქამდე ჩუმად იჯდა და ჩიბუხს აბოლებდა: — ერთხელ დიდ გემს ცეცხლი გაუჩნდა და დაიღუპა. ამ გემზე ვმუშაობდი: სასრუტაფი მანქანები უნდა მომეწყო. უკებ ის ფიცარი, რომელი ზედაც ვიდექი, ადგილს მოსწყდა და ზევით ამოტივტივდა; არ ვიცი სანამდე ამწევდა, რომ ბაქანს არ მოეხვედროდი. ფიცარი გაჩერდა. დავჩი შეაში: ქვევიდან ფიცარი მაწვებოდა, ზევით ბაქანი. მაგრამ ყველაზე უარესი ის იყო, რომ მილიც მომწყვდევული დარჩა და ნიშანს ვერ ვაძლევდი. კარგი კიდევ, რომ მილი მაგარ მავთულში იყო ჩასხმული და ჰაერი საკმაოდ მომდიოდა. ბევრი ვეცადე, ბევრი ვეწვალე და როგორც იყო გავინთავისუფლე თავი, თორემ ახლა ჩემი ხსენებაც აღარ იქნებოდა ქვეყანაზე.

— ო-ო, მავთული ძალიან ძვირფასი რამეა, — შენიშნა ატკინსონმა. ერთხელ ჩემი მილი სასრუტავ მილს მიეკრა. საჩქაროდ ვანიშნე ზევით მანქანა გაეჩერებინათ. როგორც კი გააჩერეს, ჰაერი მაშინვე წამოვიდა. მილი მავთულმა გადაარჩინა.



— მილთან ერთად ბაწარიც რომ მიეზიდა მანქანას, მაშინ რას იზამდით: ნიშანს როგორ მისცემდით?—ვკითხე მე.

ატკინსონი დაფიქრდა. ცუდი დღე დამადგებოდა, —სთქვა მან ბოლოს:—ზოგიერთების აზრით ოთხ წუთს შეიძლება გაძლება ამ პირობებში, მე კი მგონია ორ წუთსაც გამიჭირდება.

— ჩვენთან ერთი მყვინთაფი მუშაობდა, სახელად სიმან, — დაიწყო ტიშანსმა, მაგრამ ატკინსონმა შეაწყვეტინა:

— აი, სწორედ სიმანი. რამდენიმე წლის წინეთ ზოგიერთებს ეგონათ, რომ ის ჰაერი, რომელიც მუზარადშია. დიდხანს ეყოფა კაცს. სიმანიც ასეთი შეხედულობის იყო. მათი აზრით, თუ შემთხვევა მოითხოვდა, საკმარისი იყო მილის ერთი დაკვრით გადაქრა და თითოთ ნახევრეტის დაცობა, რომ მყვინთაფი მშვიდობიანად დაბრუნებულიყო. ახლა საბედნიეროდ აღარავის სჯერა ამისთანა ზღაპრები, მაგრამ საწყალი სიმანი კი გახდა მსხვერპლი ამ ცრუ შეხედულობისა. ერთხელ, როცა სიმანი მუშაობდა, უცებ მილი გემის ფიცრებში ჩაიკეტკვა. სიმანმა მაშ-ნათვე აღმოაჩინა ზევით. ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვერ ამოიყვანეს. სიმანს ალბად შესცივდა, ზამთარი იყო, მოთმინებაც დაეკარგა, დაიღალა და თუმცა ჰაერი თავისუფლად გადიოდა მილში, მაინც აღარ მოიცადა და გადასწყვიტა თითონ განთავისუფლებულიყო. ამოიღო დანა, რომელიც ჩვენ ყოველთვის თანა გვაქვს, და რა გააკეთა შემდეგ სიმანმა, როგორც წიგნში—ისე შეგიძლიანთ წაიკითხოთ იმის მილზე, რომელიც მუზეუმში ინახება. მილი ცხრა ადგილას არის დაჩეხილი. საბრალოდ ალბად ერთი მოქნევით მოინდომა მილის გადაქრა, მაგრამ ვერ შესძლო, თუმცა მარჯვედ კი არის დაკრული. როგორც სჩანს, ერთ და იმავე ადგილას მერმე ველარ მოუხვედრებია, დაუცილებია, მილიც გაფუჭებულია და ამ წვალებაში სულიც დაუღვია საცოდავს. მისი გადარჩენა კი არც ისე ძნელი იყო. რომ დაეცადა მეორე მყვინთაფის ჩასვლამდე, დღეს ცოცხალი იქნებოდა. თვითონ ვნახე ეს მილი და ზედ მართლაც საზარელი ტრაგედია წავიკითხე.



ცოცხლად წარმომიდგა თვალწინ არსებობისთვის მარტოდ-მარტო მყოფი ადამიანისა.

ატკინსონმა გაათავა ამბავი და ჩაფიქრდა. ყველანი სდუმდნენ.

— ამ საშინელმა ამბავმა სხვებს კეკა ასწავლა, — სთქვა ცოტა ხანს შემდეგ ისევ ატკინსონმა: — ახლა კი ველარაფინი გაბედავს მიმართოს ასეთ საშუალებას.

ამ ამბავს კიდევ ბევრი ერთი მეორეზე უფრო საშინელი ამბები მოაყოლეს იმ საღამოს მყვინთავებმა. სხვათა შორის მიაშხეს, როგორ დაიღუპა მყვინთავი ფეირჩალოდი; ფეირჩალოდმა თან წაიღო 28 გირვანქა ლალუმი, რომელმაც უდროოდ იფეთქა და დაღუპა კაცი. ტიმანსმა ერთხელ 105 ფუტის სიღრმეზე გრძობა დაჰკარგა. მეორეჯერ შეცდომით ნიშნები აერია და უცაბედად მუზარადში წყალი შეუშვა. ატკინსონს დაღუპულ გემის კიბემ საყულო გაუქრა. მუზარადიდან ჰაერი უცბად გამოვიდა, მაგრამ საჩქაროდ შეატყობინა და გადაარჩინეს.

ბოლოს მიაშხეს კაპიტან კონკლინგის და ხოლიოკის ჯებირის ამბავი. ეს ამბავი ყველა მყვინთავმა იცის, და კიდევ გაუკვირდათ, რომ მე აქამდე არ გამეგონა. ხოლიოკში ჯებირი დაზიანდა. აუცილებელი იყო საჩქაროდ ზომების მიღება, რომ მთლად არ წაეღო წყალს.

კაპიტანმა კონკლინგმა ერთ მყვინთავს უბრძანა მომზადებულიყო. ის უკმაყოფილოდ შეუდგა მზადებას. მინდობილი საქმე რთული და მეტად საშიში იყო, რადგან წყალი საშინელი სისწრაფით და ღონივრად შეიქრა ხვრელში. მყვინთავმა ჩასვლის ხანს ზედმეტი ბაწარი მოიტხოვა.

— რისთვის გინდათ? — შეეკითხა კაპიტანი.

— მეშინია, რომ ერთი ბაწარი ვერ დამაკავებს და წყალი ხვრელში შემითრევს.



მყვინთავეები ზღვის ფსკერზე.

— ბევრს ნუ ლაპარაკობთ: სჯობს საქმეს შეუდგეთ! —
 მკაცრად უპასუხა უფროსმა. მყვინთავეი ძალა-უნებურად და-
 მორჩილდა და ჩავიდა. სამწუხაროდ მისი შიში გამართლდა:
 სწორედ ისე მოხდა, როგორც ფიქრობდა. ხერხელიდან მხო-
 ლოდ მისი გვამი ამოიტანეს.

ახლა კონკლინგმა სხვებს მიმართა, მაგრამ ყველამ უარი
 განაცხადა. ერთმა კიდევ შენიშნა: გიქვები ხომ არა ვართ,
 თავი კი არ მოგვძულებიაო.



— მაშ კარგი, — სთქვა კაპიტანმა: — მე თვითონ ჩავედ, მომიტანეთ ტანისამოსი. კაპიტანი 75 წლის მოხუცი იყო, მყვინთაობისთვის თავი კარგა ხანია დანებებული ჰქონდა, მაგრამ ჯერ კიდევ ჯანსაღი ღონიერი და მასთან მტკიცე ხასიათის პატრონი და გულადი კაცი იყო. მაინც ყველამ დაუშალა წასვლა, ბევრმა სთხოვა, ბევრი უმტკიცეს, მაგრამ ვერ გადაათქმევინეს. არ მინდა არც ზედმეტი ბაწარი. რაც მიმაქვს, იმითაც გავასწორებ ჯეგბირსაო, — იძაბოდა, და მართლაც გაასწორა, წყალი შეაჩერა, მხოლოდ ხვრელი თავისი სხეულით ამოავსო. მისი გვამი სამუდამოდ იქვე დარჩა, და აღბად დღესაც იქ დევს მყვინთავის ტანისამოსში გამოწყობილი მამაცი და ჯიუტი კაპიტანის ჩონჩხი.

IV

ერთხელ ტიმანსმა საინტერესო ამბავი გადმომცა. მყვინთავის ტანისამოსში მას მოუხდა მუშაობა არა წყალში, არამედ ელექტრონით განათებულ გემზე.

— ეს იყო ვეებერთელა გემი, რომელმაც სრულიად მშვიდობიანად მიადწია ნავთსადგურს.

— რამე არა ჩვეულებრივი ტვირთი იქნებოდა ზედ, — შენიშნა ატკინსონმა.

— დიად, — უბასუხა ტიმანსმა: — გემი დატვირთული იყო ცხარე ბორაკით. გზაში ქარიშხალს სულ დაემტვრია ქურქლები და ბორაკი დაბნეულიყო. იქ შესვლა შეუძლებელი იყო: ბორაკი სწამლავდა ადამიანს, — მაშინთვე საშინელ ხველას იწვევდა და სუნთქვას უშლიდა. მაშინ მოგვიწვიეს ჩვენ. მთელი საათობით ვმუშაობდით ნიჩბით ხელში. თუმცა ბორაკი თვალეში არ გვხვდებოდა, მაინც კინალამ დაგვაბრმავა ამ თოვლივით ბრქვეივალა მტვერმა.

— ეს აღბად უფრო სასიამოვნო სამუშაო იქნებოდა თქვენთვის: წყალში ხომ ვერაფერს ხედავთ?

— წყალს გააჩნია, — სთქვა ტიმანსმა.



— ნიუიორკის ყველა მდინარეები უკუნეთივით მზერს
შენიშნა ატკინსონმა.

— მართალია, მაგრამ მე სხვა წყალიც მინახავს. მდინარე
კენებეკის შესართავში ისე ნათლად ვხედავდი ყველაფერს, რო-
გორც მიწაზე. აღმოსავლეთ ინდოეთში თითქმის ყველა მდი-
ნარეში ისეთი ანკარა წყალია, რომ მშვენივრად ხედავთ
ფსკერზე ყველაფერს, შეგიძლიათ გაარჩიოთ თვითეული კენ-
კი, ფოთოლი და პაწია თევზები.

— ნათელ-თევზაც გინახავთ?—ვკითხე მე.

მყვინთავეებს გაეცინათ. ამას ყველა მყვინთავს ჰკითხა-
ვენ, და არც ერთ მათგანს კი არ უნახავს არასოდეს.

არ გაუცინია მხოლოდ ტიმანსს.

— მინახავს,—სთქვა მან დინჯად: მხოლოდ აქ კი არა.
ერთხელ შევხვდი. მაშინ კოლუმბიაში ვმუშაობდი; ათასნაირი
თევზები დამტრიალებდნენ თავს. ალბად გემზე სანოვაგე იქ-
ნებოდა და სუნმა მოიზიდა ამოდენა ხროვა. სრულებით არ
ვაქცევდი ყურადღებას. გემის თვალიერებაში ვიყავი გართუ-
ლი, როცა ზევიდან უშველებელი ჩრდილი გადამეფარა.
მალლა ავიხედე და გული ამიფანტკალდა: მაშინათვე მივხვდი,
რომ ეს ნათელ-თევზა იყო. სიგრძით 12 ფუტის მეტი არ
იქნებოდა. დიდი არ იყო, მაგრამ ჩემი ჩაყლაპვა მაინც არ
გაუჭირდებოდა: ნელ-ნელა მომიახლოვდა, შეჩერდა და და-
მაშტერა თავისი პატარა, ბოროტი თვალები. ერთ წუთს
იყო ასე უძრავად, მაგრამ ეს წუთი ერთ საუკუნედ, საშინელ
თავზარდამცემ საუკუნედ შეჩვენა. უცებ თავში ბედნიერმა აზრმა
გამიელვა. მოვიხსენ წელზე ჩამოკიდებული ჩაქუჩი და რაც
ძალი და ღონე მქონდა შემოვკარი ფოლად-შემოკრულ გემის
ძირს. ხომ იცით, წყალში ყოველი ხმა უფრო ძლიერია, ვიდრე
ჰაერში. მართლაც გაისმა ისეთი საშინელი თავზარდამცემი
ხმაურობა, რომ ნათელ-თევზა შეშინდა და იმ წამსვე სადღაც
ვაქრა.

— იქნება მშვიერი არ იყო,—იკითხა ვილაცამ.



— ნათელ-თევზა, და მშიერი არ იყო?! მისი გაძლომა ვის გაუგონია, — გაიცინა ტიმანსმა: — რამდენიც უნდა ჭამოს, მაინც მშიერია. კარგია, რომ ჩემ ბაწარს, ან მილს არ დაავლო კბილი; ის ხომ არ აჩვენებს საქმელს: რასაც წააწყდება, ყველაფერს ყლიპავს. მე მგონია ნათელ-თევზა ჩვენ წყლებში-დაც არის, მაგრამ მყვინთავის ტანისამოსისა ეშინიან.

— ფიქრობენ, რომ შაერის ბუშტები, რომელიც მუზარადიდან ამოდის, აშინებს ნათელ-თევზას, — დაუმატა ატკინსონმა. — მართლაც საშინელ სანახაობას წარმოადგენს ეს ბუშტები, ქვევიდან როცა უყურებ.

— ის გემი მაინც გადაარჩინეთ, თუ ვერა? — დავეკითხე მე.

— დიად, ამოვიღეთ, — მიპასუხა ტიმანსმა, — მაგრამ პატრონებს ერივნათ, რომ წყალში დარჩენილიყო.

— რატომ?

— იმიტომ რომ ძვირად დაუჯდათ მისი ამოღება, მეტი დაჯდა, ვიდრე ახლის გაკეთება. აბა იანგარიშეთ: სამოცმა კაცმა რვა თვის განმავლობაში ვიმუშავეთ. უნდა გითხრათ — ძალიან კი გავწვალდით და დავიქანცეთ. გემზე ბევრი ძვირფასი საქონელი იყო. გავაკეთეთ მათეულეებზე რკინის გზა და ისე გადავზიდეთ აბრეშუმი, შალეულობა და სხვა ძვირფასი ნივთები. მერმე გემს გამოვავით ბაწრები და როგორც იყო დადმარით ადგილიდან; მაგრამ უეცრად დიდი წვიმა მოვიდა, წყალი გადიდდა, გაიტაცა ამოღებული გემი და ჩვენიც თან გაიყოლა, რადგან ორივე ერთმანეთზე გადაბმული იყო. უფროსმა ბძანა საჩქაროდ გადაექრათ ბაწრები; მაგრამ თითქმის ყველა ჩვენი მოსამსახურე დაზიანებულ გემზე დარჩა და საჭირო ვახდა მათი გადარჩენა. როგორც იყო გადმოვსხით ყველანი. დაზიანებული გემი კი წყალმა რამოდენიმე ვერსის მანძილზე გაიტაცა და ქვებში ჩააქექყა.

მეორე დღეს ხელ-ახლა შეუდევით მუშაობას. ისევ ჩვეულოდით მყვინთავები და ვასწორებდით ჩამტვრეულ ადგი-



ლებს; წყალი განუწყვეტლივ გვაყრიდა ქვიშას და მუშაობის გვიშლიდა. არასოდეს არ დამავიწყდება, რამდენი გაკირება გამოვიართე მაშინ. ერთხელ უშველვებელი რკინა მოსძვრა გემს და ცოტა დააკლდა—კინალამ თავი გამიქექყა. ერთ ჩემ ამხანაგს მილი ჩაეფლა ქვიშაში და მეორემ ძლივს გადაარჩინა ეს კაცი. გავათავეთ მუშაობა. ხელახლა გამოვაბით ბაწრები, მაგრამ თითქოს განგებ ამოვარდა ქარი და 16 დიუიმის სიფართე ბაწრები ძაფებივით დასწყვიტა. ახლა ბაწრებს მაგარი მავთულები შემოვაფლეთ და ისე მივაბით ამ უბედურ გემს; მაგრამ ახლა კი სრულიად მოულოდნელმა შემთხვევამ შეგვიშალა ხელი. ჩამოიარა ბართევხამ და თავისი ბასრი ხერხით გადახერხა ჩვენი მავთულიანი, საგანგებოდ მოწყობილი ბაწრები. ეს ბაწრები ახლაც შენახული აქვს ჩვენ გამგეობას, როგორც საკვირველი ნიმუში.

ბევრი რამ გვიამბო კიდევ ტიანანსმა ამ გემის შესახებ, რომლის გადაარჩენას 250 დღეს მოუნდა ამდენი კაცი, რომელმაც ამდენი საქმის უნარი და გულმოდგინე შრომა შეიწირა.

V

ერთხელ ატკინსონს, როგორც მყვინთავთა ჯგუფის უფროსს, შევეკითხე, შეიძლებოდა თუ არა, რომ მეც მყვინთავებთან წყალში ჩავსულიყავი. ატკინსონს სრულებით არ გამკვირებია ჩემი თხოვნა და პირიქით ადვილად დათანხმდა.—

— მხოლოდ გახსოვდეთ, რომ უარის თქმა აღარ შეიძლება, — მითხრა მან ეშმაკური ღიმილით: — ბევრისგან გამიგონია ასეთი სურვილი და მინახავს კიდევ, რომ ყოჩაღად ემზადებოდნენ უკანასკნელ წუთამდე, მაგრამ ჩასვლის დროს კი უარს ამბობდნენ.

ეს ვერაფერი ნუგეში იყო ჩემთვის: გამზნევების მაგიერ ატკინსონის სიტყვებმა საგონებელში ჩამავლო.

— ამ დღეებში ხაკენსაკში ნახშირით დატვირთული ხომალდი ჩაიძირა, — მითხრა მან: — ხვალ იმის ამოსაღებად მივდი-



ვართ; ეს მშვენიერი შემთხვევაა თქვენთვის: მით უფრო, რომ ხომალდი სულ 20 ფუტის სიღრმეზეა ჩასული. შუადღეზე მოდით ჩვენთან და წავიდეთ.

ატკინსონი ისე ლაპარაკობდა, თითქოს საქმე უკვე გადაწყვეტილი იყო.

მეც ვისირცხვილე სიტყვის გადათქმა, თუმცა ამ ჩემი წინდაუხედავი ნატურის ასრულება ახლა შიშს უფრო მგვრიდა, ვიდრე სიამოვნებას. როცა კაცი სხვის თავგადასავალს უგდებს ყურს, ყველაფერი ადვილად ეჩვენება: მეც ასე დამემართა: როცა მყვინთავები მიაშობდნენ თავიანთ გაქირვებას, მეგონა—მეც ისე მოვიქცეოდი და არ დავიღუპებოდი, მაგრამ ახლა კი, თვალწინ ათასნაირი განსაცდელი მეხატებოდა, და ვნანობდი, რომ ასე ტყუილ-უბრალოდ ხიფათში ჩავვადე თავი. ამიტომ შინ ძალიან დაფიქრებული დავბრუნდი. ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტე რომ ეს სურვილი სიგიჟე იყო, რომ უფლება არ მქონდა ასე უმიზეზოდ გამეწირა თავი და მარტო ცნობის მოყვარეობის გულისათვის შეიძლება კიდეც დავღუპულიყავ.

გადავწყვიტე უარი მეთქვა და გულ-დამშვიდებული ჩაეწევი ლოგინში; მაგრამ ფიქრი მოსვენებას არ მძლევდა. იქნებ ეს არც ისე საშიშია,—ვაიმედებდი ახლა თავს: მყვინთავებიც ხომ ჩემისთანა ადამიანები არიან, და ყველა ხომ არ იღუპება. რა იქნება, რომ ერთხელ მეც გამოვცადო, სამაგიეროდ რამდენ საინტერესო რამეს ვნახავ. ამისთანა შემთხვევა კი სხვა დროს აღარ მექნება; და ისევ გადავწყვიტე წასვლა. იმ დამეს საშინელი სიზმრები ვნახე: რაც კი რამ საშინელი ამბები გამეგონა მყვინთავების შესახებ, სულ ერთად დამესიზმრა, და დილით ისევ შევეყვამნდი. ვაი თუ სმენა დავკარგო, ან ბაწარი გამიწყდეს და დავიხრჩო, ან მიღს რამე დაემართოს. სხვაც ათასი უბედურება იყო მოსალოდნელი.

მაგრამ უფრო ძლიერი გამოდგა სურვილი, რომ თვითონ გამოვცადა ყველა ის, რასაც თითქმის ყოველ დღე



განიცდიდნენ ჩემი საკვირველი ახალი მეგობრებმა, და დღეზე დღეზე „დანდენბერგის“ ბაქანზე გავჩნდი.

ბაქანზე ბევრი ცნობის მოყვარე ხალხი შეგროვილიყო სეირის საყურებლად. სახეზე ვატყობდი: ყველა დარწმუნებული იყო, რომ მეც სხვებსავე უკანასკნელ წუთს შევეშინდებოდი, მაგრამ ამ ამბავმა კიდევ უფრო გამამხნევა, მტკიცედ გადავწყვიტე არაფრის გულისთვის არ შეთქვა უარი.

მალე ტანისამოსი მომიტანეს და შეუდგნენ ჩემ მოკაზმვას. არც ერთი მყვინთავი თითონ არ იცვამს ამ ტანისამოსს. თავიდანვე უხერხულად ვიგრძენი თავი: ასე მეგონა, თითქოს რაღაც ჩექმები ჩამაცვეს, რომელიც ყელამდე მწვდებოდა. სამაჯურები მაგრად შემიკრეს. ფეხებზე 30 გირვანქიანი ჩექმები ჩამომაცვეს და რკინის კიბესთან მიმიყვანეს. ფეხს ძლივს ვადგამდი; ტანისამოსმა საშინლად დამამძიძია; ტკინისავეით უმწეო გავხდი. ჩემი მორთვა არ გათავებულა; წელზე მაგარი სარტყელი შემომაკრეს, რომელზედაც მიბმული იყო ამოსაწევი ბაწარი და ჰაერის მილი. უნებლიეთ გავაყოლე თვალი ამ მილს, რომელიც გველივით გაწოლილიყო ბაქანზე და თან-და-თან იბერებოდა. ამ დროს ატკინსონი მომიახლოვდა მუხარადით ხელში. შევხედე მუხარადის სამ შუშას, რომელიც საშინელი მხეცის თვალებს მაგონებდა, და ტანში ერთუნტელმა დამიარა. წარმოვიდგინე, რომ სასიკვდილოდ მამზადებენ, რომ დამნაშავეც სწორედ ასე თავ-დახრილი დგას თავის ჯალათის წინ, და მზად ვიყავ უარი შეთქვა, გამოვთხოვებოდი სამუდამოდ ჩემ ნატვრას, მაგრამ ამ დროს თვალი გადავაველე მაყურებლებს. ყველა ცნობის მოყვარეობით მომჩერებოდა: მივხედი, რომ დადგა წამი, როცა გულადი მოხალისე კარგავს გამბედაობას და მყვინთავის ტანისამოსის გახდას თხოულობს, ამ გარამოვებამ მიხსნა: თავი შევიმაგრე, ისე რომ ვერავინ შემატყო.

— ანდერძს არ გვიტოვებთ? — მზიარული სიცილით მკითხა გემის უფროსმა.



ეს უადგილო, სასტიკი ხუმრობა მწარედ მოხვდა გულს.

შევხედე ჰაერის მისაწვდომ მანქანასთან მდგომ ორ ჩახმულ მუშას და უნებლიედ გავიფიქრე: აი ჩემი ჯალათები-მეთქი, თუმცა ორივეს კეთილი და სათნო სახე ჰქონდა. ეჰ, რა კარგია ახლა აქ მზეზე ყოფნა! რა მინდა ამ ცივ და ტალახიან წყალში? — ვფიქრობდი მე.

ატკინსონმა ასწია მუზარადი და დააპირა ჩემთვის თავზე ჩამოცმა.

— ცოტა დამაცადეთ: ნიშნები გავიმეორო, — ვსთხოვე მე, და გავიმეორე. ყველაფერი კარგად მახსოვდა.

— ახლა მზადა ვარ.

მუზარადი კარგად დამიმაგრეს მარკვლებით. შუშაში ვხედავდი ატკინსონის მშვიდ და დინჯ სახეს, და ეს იმედს მაძლევდა.

— გამოუშვით — ჰაერი! დაიძახა ვილაკამ და მაშინათვე ვივრძენი, როგორ შემოვიდა ჩემ ტანისამოსში თბილი ჰაერი; მესმოდა მანქანის ხმაურობაც.

— თუ მეტი ჰაერი მოგიხდეთ, ერთხელ მოსწიეთ ბაწარი; ამოსვლა თუ მოგიხდეთ, — სამჯერ — მეუბნება ვილაკა.


უცებ ვიბნევი: როგორ უნდა გავიგო ბევრი იქნება ჰაერი თუ ცოტა, — ვფიქრობ მე; მაგრამ სალაპარაკო დრო აღარ არის. უკანასკნელად შევისუნთქე ჰაერი, რომელიც კიდეც დარჩა მუზარადში. წასვლის დროა. ჩემს გარშემო რაღაც ფუს-ფუსია. ვფიქრობ — რა უნდა იყოს ეს, და ბოლოს ვგებულობ, რომ მილს სინჯავენ. ვილაკამ მხარზე ხელი დამკრა: ეს ჩასვლის ნიშანია; მაგრამ მაინც არ ვიძვრი ადგილიდან: მინდა კარგად დავრწმუნდე, რომ შემიძლია ამ ჰაერით სუნთქვა. კიბეზე ჩასვლა მეტად ძნელია. ტანისამოსი ისეთი მძიმეა, რომ ფეხს ძლივს ვადგამ; მაგრამ კიბე თავდება. ნიადაგს ვკარგავ... და ნელ-ნელა ვეშვები ძირს. აი, ჩავემალე კიდეც ქარვის ფერ სივრცეში.

ყურები საშინლად მიბზუის, გამაყრუებელი ხმაურობა მესმის; სამაგიეროდ სიმძიმეს სრულებით აღარ ვგრძნობ.



ფეხებით რაღაცას მაგარს შევებე. ეს არის დაღუპულნი და მათი
 დის ბაქანი. ჩემ ბაწარს ანძრევენ. ეს ნიშანია, და მეც ვან-
 შნებ, რომ მშვიდობით ჩავედი. მოგზაურობა ძალიან ადვილი
 გამოდგა. სრულიად არ

მოველოდი, რომ ასეთი
 სასიამოვნო იქნებოდა.
 ყურები მაწუხებს, თო-
 რემ სხვაფრივ არა თუ
 კარგად ვგრძნობ თავს,
 მხიარულადაც ვარ. შე-
 იძლება ეს მკვებადის გავ-
 ლენაა, —არ ვიცი. მხო-
 ლოდ არავითარ უხერ-
 ხულობას ახლა აღარ
 ვგრძნობ. ყოველ ჩემ
 სუნთქვაზე ჩემი ტანისა-
 მოსიკ სუნთქავს; ხან
 გაიბერება, ხან შეიმკუ-
 შება. ვერც ტანისამო-
 სის სიმძიმეს ვერც წყა-
 ლისას, რომელიც ამ
 სიღრიეზე 12 ფუთის



ვეშვები კიბით წყალში მყვინთავეის
 ტანისამოსით.

სიმძიმით მაწევს, ვერ ვამჩნევ, მხოლოდ ქვევიდან მაწვება
 წყალი: ასე მგონია, თითქოს ფეხები აწვევა ტანს და, რო-
 გორც შემდეგ შევიტყვე, ჩემმა მეგობრებმა კინალამ გადა-
 კარბეს, ცოტა დააკლდათ, რომ საჭიროზე მეტი ჰაერი ჩა-
 მოვეზავნათ ჩემთვის. ეს იმიტომ მოხდა, რომ ისინი ცდი-
 ლობდნენ გაეადვილებინათ ჩემთვის წყალში ყოფნა. მერმე
 შევიტყვე, რომ ატკინსონს გამოუტყდელმა თანაშემწემ უყო
 ასეთი საკმე. ატკინსონი ანიშნებდა—ნაკლები ჰაერი გამო-
 გზავნეთო, ის კი უმატებდა და უმატებდა. ატკინსონი გემის
 ქვეშ მუშაობდა, მაგრამ, როცა შეატყო, რომ ცუდად იყო

საქმე, ტანისამოსი უფრო და უფრო იბერებოდა, გამომწვანდა და წამსვე ყუმბარასავით ამოვარდა წყლიდან ისეთი სიმძლავრით, რომ წყალს სამი ფუტით ასცილდა.

ასეთი შემთხვევა ძალიან სამწუხაროა მყინთავისთვის: ამოსვლაც ისეთი ნელი უნდა იყოს, როგორც ჩასვლა.

ჩამოვჯექ ჩაძირული გემის ბაქანზე ღიკაურობას თვალი-ერება დაუწყე. წყალს ოქროს ფერი ედო. ალბად ზევიდან მზურვალე მზის სხივები ჩამოდიოდა. ვსინჯე მუშაობა, მოვიხსენი ჩაქუჩი და ხომალდის კედელში ჩამოდენიშე ლურსმანი ჩავაქედე. წყალი სრულიად არ მიშლიდა ხელს: ჩაქუჩს არ ვაცილებდი ლურსმანს. ერთი სიტყვით—მუშაობაც უფრო ადვილი გამოდგა, ვიდრე მოველოდი; მხოლოდ ადრე-კი დავიღალე.

მუშაობის შემდეგ ბაქანზე გავიარ-გამოვიარე და კიდევ შეეჩერდი. უცებ დავფიქრდი მყინთავის უმწურო მდგომარეობაზე.



ამოველ წყლიდან და მუხარადი-დან მუშა ბომავორებს.

მას არც დაძახება შეუძლია, არც თავისით ამოსვლა: ყოველ წუთს რაიმე უბედურება მოელოის. პატარა გაუფრთხილებლობა, და მშვიდობით, სიცოცხლეც! ჰაერის მანქანის ხმა ისე მესმოდა თითქოს მიმავალ მატარებლის ბრიგინი, ან საშინელი ყიყინი. ეს არის მიზეზი, რომ მყინთავები წყალში ერთმანეთს ნიშნებით ელაპარაკებიან.

ჩემ თავთან ურიცხვი ბრილიანტებივით დაცურავენ ჰაერის ბრკყვიალა ბუშტები, დიდი და პატარა. ეს ამონასუნთქი ჰაერია. როცა ეს ბუშტები ფოსფორი-

რა. ეს ამონასუნთქი ჰაერია. როცა ეს ბუშტები ფოსფორი-




ვით ანათებს, მაშინ მყვინთაეი დაკულია ონაეარი ზღვისაგან. როცა საკმაოდ ვიჯერე გული წყალში ყოფნით, ზევით ასვლა დავაპირე, მაგრამ სანამ ნიშანს მივცემდი, უცებ დავიბენი. აღარ მახსოვდა, სად დარჩა გემის ზედა კიბე. მივიხედ-მოვიხედე, — ვერ მოვიგონე. კინალამ გონება ამერია, მაგრამ ბელად გამახსენდა, რომ პირველად ყველას ასე ემართება, და გული გავიმაგრე.

ნიშანი მივეცი და პასუხიც მალე მომივიდა. ბაწარი შეინძრა, დაიქიმა, ნელ-ნელა აიწია და მეც ამიყვანა. ოქროს ფერი წყალი თანდათან ვერცხლის ფრად იქცა. აი, ამოვყავ კიდევ თავი ზევით და კიბეც დავინახე. ვებლაუქები, ვცდილობ ავიდე, და ღონე არ მყოფნის, წყალი აღარ მაწვება ქვევიდან და ისევ საშინელ სიძიძმეს ვგრძნობ. ყველაზე უფრო ძნელი თურმე კიბეზე ასვლა ყოფილა. მალე ბაქანს უპირდაპირდები, ვხედავ ვილაცას ხელებს, მესმის კრაქუნი, და პირის შუშა მშორდება. გრილი ჰაერი უცებ მეფინება სახეზე და მეც სიამოვნებით ვსუნთქავ. გამოცდა გათავდა.

— ყოჩაღ, ყოჩაღ! მშვენიერად გეკირათ თავი, — მესმის იქით-აქედან. ყველა მილოცავს, მაქებს. ვატყობ, რომ ატკინსონიც კმაყოფილია. გული სიამაყით და სიხარულით მევსება. ვგრძნობ, რომ ამიერიდან ახალი ძვირფასი მეგობრები შევიძინე.

მაგიტა.





ვიქტორ ჰიუგო.



ველს მაისის 22-ში შესრულდა სრული 30 წელიწადი, რაც გარდაიცვალა საფრანგეთის უდიდესი პოეტი და რომანისტი ვიქტორ ჰიუგო, რომლის ნაწერებში გამოიხატა საფრანგეთის მე-XIX საუკუნის მთელი ყოფა-ცხოვრება.

ვ. ჰიუგო დაიბადა ბეზანსონში, 1802 წლის თებერვლის 26-ს. მისი მამა ნაპოლეონის დროინდელი ღენერალი იყო. ამიტომ ვიქტორმა თავისი ბავშობა მამასთან ერთად სხვა-და-სხვა დაპყრობილ ქვეყნებში გაატარა. ჯერ იტალიაში იყო მისი მამა გუბერნატორად, შემდეგ ესპანიაში, სახელდობრ—ქალაქ მადრიდში; იქ უფრო მეტ ხანს უცხოვრია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. სწავლა ვიქტორმა იქვე დაიწყო, სათავედ-აზნაურო ინსტიტუტში. როდესაც ესპანელები აუჯანყდნენ ფრანგებს და მათი გაძევება მოინდომეს თავის სამშობლოდან, მადრიდში ცხოვრება შეუძლებელი შეიქმნა, ამიტომ ვიქტორი დედით და ორი პატარა ძმით პარიზში გადასახლდა. იქ დაიწყო სწავლა კერძო სასწავლებელში, მაგრამ პატარა ჰიუგო წიგნების განურჩეველ კითხვას და ლექსების წერას უფრო მეტ დროს ანდამებდა, ვიდრე სწავლას. იმდენად მოხდენილ და მოსაწონ ლექსებსა სწერდა, რომ სამჯერ იყო დაჯილდოვებული ჯერ ისევ სასწავლებელში, და როდესაც 15 წლისა შეიქმნა, საფრან-



გეთის აკადემიამაც მიაქცია მას ყურადღება და დააჯილდოვა.

ამერიიდან ვ. ჰიუგო ლიტერატურას ემსახურება, იმის მიუხედავად, რომ მამა უშლიდა, პირდაპირ უბრძანებდა ხოლმე ლიტერატურას თავი დაანებე, თორემ ყველაფერს მოგაკლებ, ზედაც არ შემოგხედავო. მართლაც თავისი მუქარა შეასრულა მისმა მამამ. როდესაც ვიქტორი ძველებურად განაგრძობდა ლიტერატურულ მუშაობას, სახლხიდან დაითხოვეა და ყოველგვარ დახმარებაზე უარი განუცხადა.

სამაგიეროდ მისმა ნაღვაწმა არ უმტყუნა: 1822 წელს გამოვიდა მისი პირველი ლექსთა კრებული, რომელმაც დიდი სახელი მოუხვეჭა ვიქტორ ჰიუგოს. ორი ათასი ფრანკი დაუნიშნა პენსიათ თვით მეფემ. ამერიიდან იწყება მისი ნაყოფიერი მწერლობა სხვადასხვა ბელეტრისტულ დარგში: სწერდა რომანებსა („ჰანს ისლანდიელი“ და სხვა), დრამებსა („კრომველი“ და სხვა.) ლექსებსა და სხვ. ბევრ ჟურნალ-გაზეთებში ყოფილა თანამშრომლად. რამოდენიმე გაზეთიც დააარსა. ყოველ მის ახალ ნაწარმოებს ახალგაზრდობა, რომელიც მას აღმერთებდა, უდიდესი აღფრთოვანებით მიეგებებოდა ხოლმე.

დიდ ყურადღებას იპყრობს ვიქტორ ჰიუგოს რომანი „პარიზის ღვთისმშობლის საყდარი“, რომელშიაც ავტორი ძლიერ წინააღმდეგია სიკვდილით დასჯისა.

1841 წ. ჰიუგო ამორჩეულ იქმნა საფრანგეთის აკადემიის წევრად; 1845 წ. კი პერის სახელწოდება მიიღო.

აზროვნებაში ვ. ჰიუგო პირველ ხანებში, ყმაწვილობაში, დედის გავლენის გამო დიდი როიალისტი — მეფის მომხრე იყო, რაც გამოიხატა მის ადრინდელ ლექსებში; შემდეგში ზომიერ ლიბერალად გარდაიქცა, და ბოლოს, როდესაც არჩეულ იქმნა 1849 წ. საკანონმდებლო საბჭოში, უკიდურესი რესპუბლიკანელი შეიქნა. 1851 წლის ქრისტეშობისთვის 2-ში მხურვალე მონაწილეობას იღებდა რევოლიუციაში: მემამბოხეებთან ერთად ქუჩებში იბრძოდა. ძლივს მოასწრო ბელგიაში

გაქცევა, მაგრამ აქედანაც შალე განდევნილ იქნა. გადასახლდა ნორმანდიის კუნძულზე, ჰერნსეიზე, სადაც დაჰყო 18 წელი, სამშობლოს მოშორებული. იმპერატორმა პატიება გამოუცხადა, მაგრამ ვიქტორ ჰიუგომ ამაზე უარი სთქვა და იმპერატორს ასე შეუთვალა: „თავისუფლებასთან ერთად დაებრუნდები სამშობლოშიო“, და ასეც მოხდა: როდესაც საფრანგეთსა და გერმანიის შორის ომი ასტყდა, 1870—71 წ. და იმპერატორი საფრანგეთისა ტყვედ წაიყვანეს გერმანელებმა, საფრანგეთში თავისუფლების დროშა ააფრიალეს. აი, სწორედ მაშინ დაუბრუნდა ვ. ჰიუგო სამშობლო კერას.

ჰერნსეიზე მყუდრო ცხოვრებამ მეტად ნაყოფიერად ჩაიარა ვ. ჰიუგოსთვის. იქ დასწერა რამდენიმე კრებული ლექსებისა და რომანები, რომელთა შორის დიდ ყურადღებას იპყრობენ „საბრალონი“, ზღვის მოღვაწე, „ადამიანი, რომელიც იცინის“ და ბევრი სხვა. ჩაგრულებისა, დამნაშავეებისა, პოლიტიკურ იდეებისთვის დევნილებისა დიდი მოსარჩლე იყო ვიქტორ ჰიუგო. ყველა ეს მის ნაწერებში გამოიხატა.

გარდაიცვალა ვიქტორ ჰიუგო 83 წლისა, 1885 წელს, მაისის 22-ს, „ვარდის სეზონში“, როგორც თვითონ ამბობდა თავის ლექსებში. მისი გვამი დიდის ზარით და ზეიმით დაასამარეს პარიზის პანთეონში. მისი დაკრძალვა ნამდვილ ევროპულ მწუხარებას წარმოადგენდა.

მირ. ხარხელი.





ბრძოლა ადამიანისა ბუნებასთან

რით და როგორ ელაპარაკებიან ადამიანები ერთმანეთს
ათასი და მეტი ვერსის მანძილზე
ბელეგრადი და ბელეფონი.



(მეცამეტე წერილის დასასრული*)

ელეგრაფი, მართალია, სწრაფად და ჩქარა აწვდის ადამიანს ცნობას უშორეს ადგილიდან, მაგრამ შინც სულ სხვა იქნებოდა, ადამიანს რომ პირდაპირ, უშუამავლოდ შესძლებოდა ლაპარაკი ასეთსავე დიდ მანძილზე. ეს იყო მიზეზი, რომ ადა-

მიანი არც ტელეგრაფის გამოგონებით დაკმაყოფილდა და შეუდგა ისეთ საშუალებების გამოძებნას, რომ პირდაპირ შესძლებოდა ლაპარაკი იმასთან, ვისთანაც საქმე ექნებოდა, მაშინ დაცული იქნებოდა სრული თავისუფლება და საიდუმლოება კერძო პიროვნებისა. კაცობრიობის საბედნიეროდ ადამიანმა ესეც მოახერხა...

1877 წელს ამერიკელმა გრაჰამ ბელმა გამოიგონა ეგრედ-წოდებული ტელეფონი, რომელსაც ელექტრონისა და მავთულის საშუალებით დიდ მანძილზე გადააქვს ადამიანის ყოველი ნალაპარაკევი. ტელეფონი პირველად აწვდიდა

*) იხ. „ნაკადული“. № 7



ნალაპარაკებს მხოლოდ **ასი ვერსის მანძილზე**, მანკარაშაღე ისე გააუმჯობესეს, რომ 1882 წელს გერმანიაში უკვე გამო-რთეს ტელეფონი ბერლინსა და ჰამბურგს შორის, 213 ვერ-სის მანძილზე, იტალიაში—ვენეციასა და მილანს შორის 266 ვერსის მანძილზე, საფრანგეთსა და ბელგიაში, პარიზსა და ბრიუსელს შორის, 313 ვერსის მანძილზე. და სხვა. ხოლო ახლა ისეთი ტელეფონიც გააკეთეს, რომ ამერიკაში, ჩიკა-გოსა და ნიუიორკს შორის, 1500 ვერსის მანძილზე აწვდის ადამიანის ყოველ ნალაპარაკებს.

ადამიანი ამითაც არ დაკმაყოფილდა და ამერიკაში, 1889 წელს, გამართეს პირველი **წყალ-ქვეშა ტელეფონიც**. ტელე-ფონის მავთული ჩაშვებულა წყლის ფსკერზე. 1891 წელს გააკეთეს ასეთივე ტელეფონი ინგლისსა და საფრანგეთს შო-რის, პადეკალეს სრუტის ფსკერზე, ასე რომ **პარიზელს** ისე-ვე თავისუფლად შეუძლიან ლაპარაკი **ლონდონელთან**, რო-გორც თავის სახლში.

ტელეფონი კიდევ იმით არის შესანიშნავი, რომ მას, გარდა ლაპარაკისა, შეაფიოდ გადააქვს მოლაპარაკეს საკუთა-რი ხმა, სიცილი და სხვა. ამჟამად ტელეფონი ისეა გავრცე-ლებული ზოგან, რომ ქალაქებში თითქმის ყოველ სახლში მოიპოვება; ამერიკასა და იაპონიაში თვით სოფლებშიაც-კი არის გაყვანილი. რუსეთში ტელეფონი გაყვანილია **პეტრო-გრადსა და მოსკოვს** შორის, 600 ვერსის მანძილზე, **თფი-ლისსა და ბაქოს** შორის, თითქმის ამოდენსავე მანძილზე რუსეთში ტელეფონის ხმარება ჯერ-ჯერობით ძვირად ჯდე-ბა, ამიტომ ღარიბი ხალხი ვერ სარგებლობს ამ გამოგონე-ბით. ყველაზე იაფი იგი ფინლანდიაშია, რის გამოც იქ გლეხობაც ხშირად სარგებლობს ტელეფონით.

უშავთულო ტელეგრაფი და ტელეფონი. ჩვენს დროში განათლებული ხალხნი ისე შეეჩვივნენ ტელეგრაფისა და ტელეფონის ხმარებას, რომ მათი გამართვა დღეს სულ



უბრალო საქმედ მიაჩნიათ. მაგრამ ადამიანი დაკმაყოფილდა და მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს ერთი ისეთი ტელეგრაფიც გამოიგონა, რომ პირველ შემდეგით ნამდვილ სასწაულად ეჩვენება ადამიანს. ეს არის ეგრედ-წოდებული **უმავეთულო ტელეგრაფი**. იგი პირველად ორმა მეცნიერმა გამოიგონა—**მარკონიმ და პაპოვმა**. მარკონი იტალიელია, პაპოვი—რუსი. გამართვა უმავეთულო ტელეგრაფისა, თქმა არ უნდა, სულ იაფად ჯდება, რადგანაც საჭირო აღარ არის ბოძები, ან არხები, მილები, ან მავთული. ყოველ სადგურთან სდგამენ მხოლოდ ერთ მაღალ, 27 ანუ მეტ საყენიან სვეტს, ამ სვეტის თავს უერთებენ მარკონისა თუ პაპოვის აპარატს, ხოლო ამ აპარატს ჩვეულებრივი ტელეგრაფის, **მორზეს**, აპარატს, და უმავეთულო ტელეგრაფი მზად არის. როცა ასეთ სადგურიდან სურთ გაგზავნონ ტელეგრამა, აამუშავებენ დისახელებულ აპარატებს თუ არა, ერთი სვეტის თავიდან მეორემდის ელვის სისწრაფით გაექანება ელექტრონი და თან აიყოლიებს ჰაერის ტალღებსაც. ეს ელექტრონი და ტალღები, მოხედება თუ არა მეორე სადგურის სვეტის თავს, მაშინვე აამუშავებს მეორე სადგურის აპარატს, რომელიც სწერს ყველაფერს, რასაც კი პირველი სადგურიდან გადმოსცემენ...

უმავეთულო ტელეგრაფს უკვე ბევრ ქვეყანაში ხმარობენ. მაგალითად, საფრანგეთი გზავნის თავის ტელეგრამებს ინგლისში, პადე-კალეს სრუტეს იქით, უმავეთულო ტელეგრაფით. ასევე გზავნიან ტელეგრამებს საფრანგეთიდან კუნძულ **კორსიკაზე**, რომელიც ძვეს ხმელთა შუა ზღვაში, 350 ვერსის მანძილზე. ამერიკელებმა გამართეს უმავეთულო ტელეგრაფი **ფლორიდას** ნახევარ-კუნძულიდან ქალაქ **სან-ფრანცისკომდის**; მაშასადამე-მთელი ამერიკის სიგანეზე; სან-ფრანცისკოდან უშველებელ წყნარ ოკეანეზე, **ჰავაის კუნძულებამდე**; აქედან ქალაქ **შანზაიმდის**, ჩინეთში.

მაგრამ ისე არაფრისათვის არის გამოსადეგი უმავეთულო ტელეგრაფი, როგორც ზღვა-ოკეანეებში მოცურავე გემებისა-




თვის, რადგანაც ზღვების და ოკეანეების ნაპირებიდან ადვილად შეგიძლიათ ამ ტელეგრაფით კავშირი იქნას დადგინებული იმ გემებთან, რომლებსაც კი გამართული ექნებათ ზემოდ მოხსენებული სვეტები და მარკონისა თუ პაპოვის აპარატები.

მრავლად არის გამართული უმავთულო ტელეგრაფი ინგლისში. მისი შემწეობით იქ უკვე ბევრ გემთან აქვთ კავშირი რამდენიმე ათასი ვერსის მანძილზე. გამართულია ასეთი ტელეგრაფები ჩვენ შავ-ზღვაზედაც, მის პირად მდებარე ქალაქებს შორის. უზვად სარგებლობენ ასეთი ტელეგრაფით ამჟამად შომარი სახელმწიფონი. მაგრამ ამათთვის უმავთულო ტელეგრაფს ერთი დიდი ნაკლი აქვს: როცა სადგურიდან ყოველი მხრით მიჰქრებიან ჰაერის ტალღები, მტერსაც ადვილად შეუძლია მიიღოს გაგზავნილი ტელეგრამა და ყველაფერი შეიტყოს.

უკანასკნელ ხანებში ადამიანი არც ასეთი სასწაულით კმაყოფილდება და ახლა იმას ცდილობს, რომ თვით ნალაპარაკევიც გადასცეს შორ მანძილზედ უმავთულოდ, ე. ი. ცდილობს გამართოს **უმავთულო ტელეფონი**. ამის კვალსაც უკვე მიაგნო ორმა ფრანგმა—**მეშმა და დეკრეტემ**. ამათი ტელეფონი ჯერ-ჯერობით, მართალია, გადასცემს ნალაპარაკეს მხოლოდ ორიოდ ვერსის მანძილზე, მაგრამ ექვი არ არის, რომ იგი მალე ისე იქნება გაუმჯობესებული, რომ უშორეს მანძილზედაც შეგვეძლება ლაპარაკი ჩვენ ნაცნობებთანა და მეგობრებთან...

ასე და ამგვარად დასძლია ადამიანმა უდიდესი დაბრკოლება—**სივრცე და მანძილი**. კაცობრიობის გენიის გამოგონებათა ერთად-ერთი მიზანი—მხოლოდ და მხოლოდ სიმართლესა და თანასწორობაზედ აგებული ერთობა და კავშირია, და ჩვენც იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბოლოს და ბოლოს ყველანი სავსებით შეიგნებენ ამ იდეას და ეცდებიან განახორციელონ იგი, და არა ისე შეუბრალებლად ულიტონ ერთმანერთი, როგორც შერებიან ამას დღეს ევროპის უგანათლებულესი ხალხნი.

ივ. როსტომაშვილი.





შარაღები

(წარმოდგენილია ზ. ნაორაძის მიერ).

I

ნაზ ყვაილსა დაუმატე
 ფრინველთა ჯოგის სახელი,
 ძვირფას ქვა-მადანს მიიღებ,
 დაატარებს მდიდრის ხელი

II

რიცხვსა ბოლო შეუცვალე,
 დაუმატე დითვის ფეხი,
 ერთად-ენა არ ეღალვის,
 გამოთქმა აქვს დასაკვები.

III

ერთი ავადმყოფს აკლია,
 მეორეს მოგვეცემს, ვინც არ ზის.
 მას წინა ასო არ უნდა
 ჩვენ მეტად მიგვაჩნია ის.
 მესამე ყოველ ბინას აქვს
 თუ ნაშენ-დახურულია,
 ერთად კარგა მოშორებით
 ჩვენგან დიდი კუნძულია.



რ ე ბ უ ს ი


(წარმოდგენილია თ. შარუშვილის მიერ)



„ნ კ ი თ ხ ე ა ? ი 20 ზ რომა- ელთა , ე ს ქალაქი.“



უსულო იღამიანი. ა ზემოხსენებული ქალაქი. , სიხარულის ვამოთქმა. ხშირად ანუ?



ქინაქინის თვისება.

მე-7 №-ში მოთავსებულ შარადების და რეზუსის აღსნა:

- 1) ჯოჯოხეთი
- 2) კილოზანო
- 3) სანამ ხმალი მივიდოდა ენამ თავი მოსკოო.

რედაქტ. ნინო წაკაშიძე. გამომც. თ. პ. ი. თუმანიშვილი.





„ნაკადული“-ს რედაქციაში

ქართული
ენების ინსტიტუტი

და

წიგნ-პითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

- 1) ტომის თავგადასავალი, — თხზ. მარკ ტვენისა, თარგმ. გრ. ყიფშიძისა, ფასი 50 კ.
- 2) რას გვიამბობს ოთახი, — თხზ. ავენარიუსისა, თარგმ. გ. ჯაფარიძისა, ფასი 20 კ.
- 3) საყმაწვილო მოთხრობები, — ნინო ნაკაშიძის ფასი 10 კ.
- 4) სკრუჯი და მარლეი, — საშობაო მოთხრობა, ჩარლზ დიკენსისა, თარგმანი ნინო ნაკაშიძისა, ფასი 25 კ.
- 5) დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები ჰ. ჯ. ანდერსენისა, ერ. სეტ. ტომპსონისა, გ. ინსაინისა და რ. კიპლინგისა, ფასი. 30 კ.
- 6) ბავშვობა და სიყრმე. — მოთხრობა ლევ. ტოლსტოისა, თარგმ. ნინო ნაკაშიძისა, ფასი. 60 კ.
- 7) ორი მხატვარი, — თარგმანი დ. ავალიანისა, ფასი 15 კ.
- 8) სამშობლო ბუნების სარკე, დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები, — ივანე ელიაშვილისა, ფასი. 30 კ.
- 9) შობა, მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან, — ნინო ნაკაშიძისა, ფასი. 5 კ.
- 10) ახალგაზრდა მეფის სიზმარი და დევი — ეგოისტი, ორი მოთხრობა ოსკარ უაილდისა, თარგმ. ივ. მაქავარიანისა, ფასი. 5 კ.
- 11) დათო, — ირ. ევლოშვილისა, დიდების მაძიებელი, თარგმ ალ. შანშიაშვილისა, ფასი. 5 კ.
- 12) მოთხრობები, — ლაგერლეფისა და სხვა უცხო მწერლებისა. 5 კ.
- 13) იგავ-არაკნი, — 125 დასურათებული, პატარა მოთხრობა, აეტორის სურათით, ალ. მირიანაშვილისა, ფასი. 75 კ.
- 14) ბიძია თომას ქოხი, — რომანი ბიჩერ-სტოუსი ზანგთა განთავისუფლების დროისა, სურათებითა და ბიოგრაფიით, თარგმანი მ. კლიშიაშვილისა. 1 მ. 25 კ.

1915 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალს **„ნაკადული“** დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალს

„ნაკადული“ № 1

წელიწადი მეთვრამეტე

ჟურნალი **ნაკადული** გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

24 წიგნი „ნაკადულისა“ **12 წიგნი** „ნაკადულისა“
მცირე წლოვანთათვის. **12** მოზრდილთათვის.

36 სურათი ნაკადულის 1-ლ გვირგვინზე.

საჩუქრად 1915 წ. მიეცემა მხოლოდ ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს წიგნი: **დასურათებული „ხალხური ზღაპრები“**, —სამეგრელოში შეკრებილი იოსებ ყიფშიძის მიერ.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—**5 მან.** ნახევარ წლით—**3 მან.**, ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი—3 მ.**, მოზრდილთათვის **12 წიგნი—3 მან.**, ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

სახლვარ გარედ: ერთი წლით **7 მ.**, ნახევარი წლით **4 მ.**

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ. ადრესის გამოსაცვლელად—**40 კ.** შეიძლება მარკებით გამოგზავნონ.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში — „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპ. № 8. Редакция „Навадули“, Головинский пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში** — ისიდორე კვიციანიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავარიშვილთან. **სამტრედიისში** — ვლ. ნაცვალაძესთან. **ფოთში** — თეოფილე კანდელაკთან დაკ. თელიასთან. **ბათუმში** — ტროფიმ ინასარიძესთან, ფოსტაში, ჭ. ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** — ჭ. ლანჩხუთში — ლეო იმნაძესთან. **თელავში** — ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში** — კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში** — ნინო გელაშვილთან. **გორში** — ნინო ლომაურთან და ქეთევან ჯაფარიშვილთან. **ჭიათურაში** — ივ. გომელაურთან. **ერევანში** — კ. ოდიშარიასთან. **ალექსანდროპოლში** — ს. შატბერაშვილთან. **ნახიჩევანში** — სამ. მარჯანიშვილთან. **ხონში** — მ. ი. ქავჭავანიძესთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**
გამომცემელი **მ. პავლე იოსებისძე** თუმანიშვილი.